„ლელო“

დამოუკიდებელი სპორტული გაზეთი

24 მაისი, პარასკევი, 1991 წ.
№ 95 (10 508) ● ფასი 10+10 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

# „ლელოს“ მკითხველებს!

ამიერიდან ჩვენი გაზეთი გამოვა ინვალიდთათვის განკუთვნილი დეკადური დამატებით. ახალ გაზეთს „პრომეთე“ ჰქვია. დღეს „ლელოსთან“ ერთად ხელში აიღებთ „პრომეთეს“ პირველ ნომერს, რომელიც ინვალიდთა ფიზკულტურულ-სპორტული ფედერაციის თაოსნობით იშვა.

ხაცალო ვაჭრობაში „ლელოს“ დღევანდელი ნომერი, ხოლო შემდგომში, თვეში სამჯერ, დამატებითურთ ყველა სხვა ნომერი ეღირება 20 კაპიკი. „ლელოს“ მკითხველები, რომლებსაც ხელმოწერა 24 მაისამდე ჰქონდათ გაფორმებული, წლეულს „პრომეთეს“ უფასოდ მიიღებენ.

## ლიტველთა სპორტული თამაშები

27 ივლისიდან 4 აგვისტომდე ტარდება სპორტული თამაშები, რომელშიც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ლიტვური წარმოშობის მოქალაქეები მიიღებენ მონაწილეობას. იწვევენ ყველას — 12-დან 70 წლამდე ასაკის სპორტსმენებს.

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი თხოვნით მიმართავს ლიტვური წარმოშობის მოქალაქეებს, რომლებიც საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე ცხოვრობენ, მონაწილეობა მიიღონ ლიტველთა სპორტულ თამაშებში. გამოგვეხმაურეთ, დაგვირეკეთ ტელეფონით შემდეგ ნომრებზე: 99-56-14, 23-51-79, 29-00-49, ან გვეწვიეთ „ლელოს“ რედაქციაში.



# ქართველ მკლავჭიდელებს ციურიხში ელიან

შვეიცარიაში, ციურიხში, 26 მაისს დაიწყება ევროპის ჩემპიონატი ე. წ. დამდგარ მკლავჭიდში. ამ ასპარეზობაში, რომელიც პირველად ტარდება, მონაწილეობას მიიღებს საქართველოს ნაკრები გუნდი — ეს ცნობა გუშინ მოგვაწოდა მკლავჭიდში რესპუბლიკური ფედერაციის პრეზიდენტმა ვახტანგ მუსელიანმა.

— ჩვენ უკვე კარგად გვიცნობენ მთელს მსოფლიოში. ეს მიწვევა უშუალოდ შვეიცარიის მკლავჭიდის ფედერაციის პრეზიდენტისაგან ბრუნო გრიონინგენისაგან მივიღეთ — გვითხრა ვახტანგმა.

● **თუ იცით, რამდენი ქვეყანა მიიღებს ჩემპიონატში მონაწილეობას?**

— თითქმის ევროპის ყველა ქვეყანა.

● **საბჭოთა კავშირი...**

— ცალკე გუნდით გამოვა.

● **ვინ შეიყვანეთ ჩვენს ნაკრებში?**

— გია გვიჩიანი, ლერი სალლიანი, გელა ბეწუაშვილი, ზურაბ კოშაძე, კობა თოდაძე, ჯიმი მერაბიშვილი, ერეკლე გურჩიანი, ზაზა გუგენიშვილი, თამაზ კურკუმელი და ზაურ ცხადაძე. მათ გარდა დელეგაციაში 5 ოფიციალური წარმომადგენელია.

● **იცნობთ მეტოქეთა შესაძლებლობებს?**

— ევროპელთაგან, ვისაც ადრე შევხვედრივართ, ყველასათვის მოგვიგია.

● **თქვენი შანსები როგორია ამ ჩემპიონატში?**

— ყველასთან თანაბრად ვიბრძოლებთ, შედეგები კი... ვნახოთ.

● **როგორ მოაგვარეთ ავიაბილეთებისა და ვალუტის საკითხი?**

— საქართველოს მთავრობის, კერძოდ, მთავრობის თავმჯდომარის პირველი მოადგილის ბატონ მურმან ომანიძის დახმარებით, ყველა დაბრკოლება გადავლახეთ. მადლობა მას თანადგომისათვის. მადლობა მინდა ვუთხრა აგრეთვე, საქართველოს სპორტის დეპარტამენტისა და ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ხელმძღვანელობას, ჩვენი ფედერაციის მუდმივ სპონსორებს.

● **როდის მიემგზავრებით თბილისიდან?**

— 24 მაისს...

● **წარმატებებს გისურვებთ.**

# იუბილარი

ზუსტად სამი ათეული წელია თბილისს ამშვენებს დიდებული სპორტის სასახლე — შესანიშნავი ქართველი არქიტექტორების იური კასრაძისა და ლადო ალექსი-მესხიშვილის, ინჟინერ-კონსტრუქტორ დავით ქაჯაიას ნახელავი.

1961 წლის 12 მაისს გაიხსნა საზეიმოდ. მას შემდეგ მრავალ სტუმარს გაუღო კარი. უმასპინძლა სტუდენტთა მსოფლიო ჩემპიონატს ძიუდოში და ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირებს კალათბურთში, დიდ საერთაშორისო ასპარეზობებს სპორტის მრავალ სახეობაში. აგრეთვე, მუსიკალური ხელოვნების მსოფლიოში აღიარებულ ოსტატებს, თეატრალიზებულ სანახაობებს, სპორტულ ზეიმებს და ა. შ.



ინტერვიუ თბილისის სპორტის სასახლის დირექტორთან, პედაგოგიურ მეცნიერებათა კანდიდატთან, სპორტის ოსტატ თენგიზ ლომიძესთან.



● **ბატონო თენგიზ, არსებობის სამი ათეული წლის მანძილზე ჩვენს სასახლეს ექვსი დირექტორი ჰყავდა — რაჟდენ იმნაძე, გიორგი ეგნატაშვილი, გიორგი შიოშვილი, გივი ყირმელაშვილი, გიორგი შარაშიძე და თქვენ. ხუთი წინამორბედი დანიშნული იყო ამ თანამდებობაზე, თქვენ კი პირველი ხართ, რომელიც კოლეგებმა აგირჩიათ...**



— 1988 წლის 4 მარტს სპორტის სასახლეში დირექტორის არჩევნები დაინიშნა. სამი კანდიდატურა იყო წარმოდგენილი. 181 თანამშრომლიდან ჩემი კანდიდატურის წინააღმდეგ მხოლოდ ორი ამომრჩეველი წავიდა.

● **თუ შეიძლება, მოკლედ, თქვენი, ასე ვთქვათ, „წინასადირექტორო“ ბიოგრაფიის შესახებ...**

— ...ვიყავი სპორტსმენი, მოჭიდავე, დავამთავრე ფიზკულტურის ინსტიტუტი, უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი. ჭიდაობაში მე და ჩემი ძმა შოთა ლომიძე ერთ წონაში გამოვდიოდით. ამიტომ მუდამ უფროსი ძმის ჩრდილში ყოფნას... მისი გულშემატკივრობა ვარჩიე. ხუმრობა იქით იყოს და, დისერტაციაზე მუშაობას დიდი დრო და ენერგია მოეთხოვებოდა, თუმცა, სპორტთან კავშირი არ გამიწყვეტია — თბილისის სპორტკომიტეტის თავმჯდომარის მოადგილედ დამნიშნეს.

● **თუ არ ვცდებით, სპორტკომიტეტში მუშაობის პერიოდში თქვენ მიმაგრებული იყავით სპორტის სასახლეზე?**

— მიმაგრებული კი არა, ოფიციალურად დავინიშნე სასახლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლად. სწორედ იმ პერიოდში მიმდინარეობდა აქ კაპიტალური რემონტი, რაც ჭიდაობაში დიდ საერთაშორისო შეჯიბრების ჩატარებასთან იყო დაკავშირებული. მოკლე დროში შეუძლებელი შევძელით.

● **მერე სასახლის კოლექტივმა მიმართა ქალაქის სპორტკომიტეტის ხელმძღვანელობას, ლომიძე დირექტორად დაგვიტოვეთო, რის შემდეგ ჩატარდა არჩევნები.**

**თბილისის სპორტის სასახლე მუდამ დოტაციაზე იმყოფებოდა, შინაური ეკონომიკური კრიზისიც აშკარა იყო...**

— თავიდანვე განვიზრახეთ, სასახლის შემოსავლის გადიდება. ამისათვის გავზარდეთ სპორტულ ასპარეზობათა რაოდენობა, ხელოვნების ოსტატთა გასტროლების პერიოდულობა, მოიჯარეთა რიცხვი და სხვა. ყველივე ამან ეკონომიკურად მოამძლავრა სასახლე, დაახლოებით ორ-ნახევარჯერ გაიზარდა მუშა-მოსამსახურეთა ხელფასი, პრემიების გაცემის საშუალებაც მოგვეცა. სწორედ ასეთი ეკონომიკური დანაზოგით შევძელით სასახლესთან ეგრეთ წოდებული „ჯანმრთელობის ზონის“ აშენება. ძირფესვიანად იცვალა სახე სასახლის წინამოედანმა. ყველას მოსწონს აქ მოწყობილი ორიარუსიანი მუსიკალური შადრევანი კომპიუტერებზე დაპროგრამებული სხვადასხვა მელოდიით. აქვეა ჩვენს რესპუბლიკაში ერთადერთი „ადიდასის“ საფირმო მაღაზია, გვაქვს კაფე-ბარი „ჯორჯია“ 250 ადგილზე, „აეროფლოტის“ სალარო და სხვა. სხვათა შორის, აქვე გადმოტანილია საბილეთო სალაროები, რომელთა რიცხვი ახლა ათამდე გავზარდეთ.

● **გახსნებაზე: თქვენი სასახლე ფოლკლორული ანსამბლ „თბილისის“ სპონსორია. რამ განაპირობა ეს?**

— სახელმწიფო ანსამბლ „თბილ-

იხ. მე-2 გვ.

## დარგობრივ პროფკავშირთან ურთიერთობისათვის

**სრულიად** საქართველოს ფიზკულტურისა და სპორტის პროფკავშირთა რესპუბლიკური დამოუკიდებელი სათათბიროს ჩამოყალიბების შემდეგ, რითაც ჩვენს სფეროში ფაქტობრივად შეიქმნა დარგობრივი პროფკავშირი, რედაქციაში ბევრი შეკითხვა შემოდის.

გაცნობებთ, რომ ახალშექმნილ პროფკავშირში გაერთიანების უფლება აქვს დარგის ნებისმიერ შრომით კოლექტივს, რისთვისაც საკმარისია საერთო კრების გადაწყვეტილება. ორგანიზაციებს, ვისაც სურვილი აქვთ თავიანთი წვლილი შეიტანონ დარგობრივი პროფკავშირის წინაშე მდგარი ამოცანების გადაჭრაში, **შევახსენებთ, რომ სრულიად საქართველოს ფიზკულტურისა და სპორტის პროფკავშირთა რესპუბლიკური დამოუკიდებელი სათათბიროს ანგარიშის ნომერია 000695001, კოოპბანკი „დრო“, სსრკ საბბანკის საქართველოს რესპუბლიკური ბანკის საოპერაციო სამმართველო. კოდი 5210006, კრედიტის ანგარიშია 000161103.**

## სპორტსკოლის ბანაკში იწვევენ

**თბილისის** განათლების სამმართველოს მძლეოსნობის ოლიმპიური რეზერვის სპორტული სკოლიდან გვაცნობეს, რომ ამ სკოლის დირექციამ გადაწყვიტა ახალციეში თავიანთ საზაფხულო ბანაკში მიიღონ 50-60 ბავშვი 29 აპრილს მომხდარი მიწისძვრით დაზარალებული რაიონებიდან. ყველა ხარჯს სპორტული სკოლა გაიღებს.

● **თბილისის საექიმო ფიზკულტურის № 1 დისპანსერის თანამშრომლებმა სტიქიით დაზარალებულთათვის გადარიცხეს 2 დღის ხელფასი — 1763 მან. თვით დისპანსერის ერთ-ერთ თანამშრომელს კი, რომელსაც მიწისძვრისგან სახლი დაენგრა, 1430 მანეთი შეუგროვეს.**



„ინტერის“ კაპიტანი ჯუზეპე ბერგომი უეფა-ს თასით.

იხ. მე-3 გვ.

# ფიფა-ს პრეზიდენტს კუნძულ როდოსზე შეხვდნენ

**პადრაკში** მსოფლიო ჩემპიონობაზე მაია ჩიბურდანიძესა და ჩინელ სიე ჯუნს შორის, მატჩთან დაკავშირებით ბევრი პრობლემაა გადასაჭრელი, რისთვისაც საქართველოს სპორტის დეპარტამენტმა თბილისში მოიწვია კამპომანესი. ფიდეს პრეზიდენტმა დიპლომატიური, ძალზე თავაზიანი, მაგრამ ამავე დროს, ასევე ძალზე ბუნდოვანი პასუხი გამოგზავნა. პრეზიდენტს განმეორებით, ტელექსითვე აცნობეს, რომ საქართველოს წარმომადგენლები მზად არიან, შეხვდნენ მას სხვა ქვეყანაში. ამჯერად, პასუხი ორაზროვანი არ ყოფილა — კამპომანესმა საქართველოს დელეგაციასთან შეხვედრა მოისურვა 25-26 მაისს საბერძნეთში, კუნძულ როდოსზე. დღეს, დილით, ჩვენი დელეგაცია სპორტის დეპარტამენტის დირექტორის მოადგილის ჯ. ბაგრატიონის, მ. ჩიბურდანიძის და ფიდეს ქალთა კომისიის თავმჯდომარის ნ. ალექსანდრიას შემადგენლობით საბერძნეთში გაემგზავრება.

ჩვენმა დელეგაციამ თან წაიღო საქართველოს სპორტის დეპარტამენტისა და სეოკ-ის ოფიციალური წერილი ფიდეში საქართველოს დამოუკიდებლად გაწევრიანების მოთხოვნის თაობაზე. კამპომანესს ჩვენები გადასცემენ აგრეთვე მეორე წერილსაც, სადაც საქართველოს პროფესიონალ მოჭადრაკეთა ასოციაცია შუამდგომლობს ფიდეში გაწევრიანებას.




# ქართული სპორტის ტაძარო, მრგვალგუმბათიანო!...

30

# იუბილარი

(დასასრული)

ისს" გამოვუყავით ადგილი მზადებისათვის, ანსამბლთან ჩამოვაყალიბეთ ბავშვთა 200-ადგილიანი სტუდია. მსურველებს ვერ ავუდიოდით, კონკურსის შემდეგ იძულებულნი გავხდით... 600 ბავშვი ჩაგვერიცხა სტუდიაში. ახლა ისინი აქ ეუფლებიან ქართულ ხალხურ სიმღერებს და ცეკვებს. სტუდიაში სააბონემენტო სისტემაა. ცნობილია, უცხოეთის არც ერთი გასტროლიორი აღარ ჩამოდის ჩვენთან საბჭოთა ფულზე. ამიტომ, ვმართავთ უვალუტო გაცვლით კონცერტებს უცხო ქვეყნებში.

● **როგორ გესახებათ საქართველოს დამოუკიდებელი სპორტის ხვალინდელი დღე?**

— თვით ის ფაქტი, რომ საქართველო უკვე დამოუკიდებელი ქვეყანაა, თავისთავად დიდ რამეს ნიშნავს. ალბათ, ბედნიერია ჩვენი თაობა იმით, რომ მან თავისი წვლილი შეიტანა ამ ეროვნულ საქმეში. საქართველო ერთ-ერთი მოწინავე სპორტული ქვეყანაა მთელს მსოფლიოში. თუ ავიღებთ ოლიმპიურ თამაშებსა და მსოფლიოს ჩემპიონატებში საქართველოდან წარგზავნილ მონაწილეთა პროცენტულ რაოდენობას (ჩვენი რესპუბლიკის მოსახლეობასთან შეფარდებით), მსოფლიოში ძნელად თუ შეგვედრება ვინმე. ქართველები განებივრებულნი ვართ საკუთარი ჩემპიონებით, მათთან ურთიერთობით, ისინი ხომ ყოველდღიურად ჩვენს გვერდით არიან. არ შემიძლია, არ გავიხსენო — ავსტრიაში, ინსბრუკში ჩასვლისას ადგილობრივი ყინულის სასახლის მისადგომებთან უზარმაზარი რიგი დაგვხვდა, ბილეთებისათვის იდგნენ. დავინტერესდი, თურმე, იმ დღეს აქ ვარჯიშს ატარებდა ევროპის ჩემპიონი ფიგურულ ციგურაობაში ბეატრის შუბა. სწორედ მისი ვარჯიშის სანახავად მოვიდა დაახლოებით 8 ათასამდე მაყურებელი. წარმოიდგინეთ, ბილეთი 18 შილინგი ღირდა, რაც საკმაოდ დიდი საფასური იყო.

● **ბევრმა დღეს, ვთქვათ პირდაპირ, გული აიცრუა სპორტზე...**

— როგორც ახალგაზრდა სპორტსმენებისაგან, ისე განსაკუთრებით, ვეტერანებისაგან, მართლაც ხშირად ისმის, რაღად გვინდა ვარჯიში, ჩვენ ხომ აღარ გამოვდივართ ხალხთა სპარტაკიადებზე და დიდ საკავშირო ტურნირებში, რომ არაფერი ვთქვათ, ევროპის, მსოფლიოსა და ოლიმპიურ ასპარეზობებზე! მინდა ვუთხრა მათ, რომ მიუხედავად 70 წლის მონობისა, საქართველო თუ კი ვინმემ იცის მსოფლიოში, ეს გარკვეულწილად ჩვენი სახელოვანი სპორტსმენების წყალობითაც. ამიტომ, როგორც არასოდეს, საქართველოს სწორედ დღეს სჭირდება მათი მხარდაჭერა. რაც შეიძლება, მეტი უნდა ვივარჯიშოთ და ავიმაღლოთ ოსტატობა. ხომცხადია, სამფეროვანი ეროვნული ქართული დროშით, უეჭველად მოგვიწევს გასვლა მსოფლიო სარბიელზე.

● **კარგი ტრადიცია დამკვიდრდა ჩვენში — ვეტერანი სპორტსმენებისადმი მიძღვნილი საღამოები და ტურნირები...**

— თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რაოდენ ემოციურ, ნერვულ და ფიზიკურ დატვირთვას განიცდიან დიდი სპორტსმენები წლების განმავლობაში და რაოდენ მივიწყებულნი არიან ისინი ხშირად, დიდი სპორტიდან წასვლის შემდეგ, უფლება არა გვაქვს გულხელდაკრეფილნი ვიყოთ. ერთი სიტყვით, ამ კარგ ტრადიციას შემდგომშიც გავაგრძელებთ, და არა მარტო ფეხბურთელებთან, არამედ სპორტის სხვა სახეობების წარმომადგენლებთანაც. სახელოვან სპორტსმენებს ჩვენში აბა რა გამოლევს!

● **დაბოლოს, მოახლოებული იუბილის შესახებ: 30 წელი შეუსრულდა თბილისის სპორტის სასახლეს. როგორ აპირებთ მისთვის „დაბადების დღის" გადახდას?**

— ბევრი ვიფიქრეთ ამის თაობაზე, — ჩავატაროთ თუ არა იუბილე, ავბედობის ჟამს. ბოლოს, მაინც გადაწყდა იუბილის ჩატარება — ქართველ ხალხს ხომ დღეს ასე სჭირდება დასვენება და სიხარული! საიუბილეო საღამოს მოწყობას 24 მაისს, პარასკევს ვაპირებთ. საინტერესო საღამო-კონცერტს ვამზადებთ, რომლის რეჟისორია ოთარ ლვაბერიძე. დანარჩენი დეტალების გამხელისგან აქ თავს ვიკავებ, თავად ნახავთ ყოველივეს. მხოლოდ ერთს დავუმატებ: იუბილესათვის საგანგებოდ მოვამზადეთ მრავალფეროვანი ნაბეჭდი პროგრამა-ბუკლეტი, სამკერდე ნიშნები, ვიმპელები და სხვა. ერთი სიტყვით, სპორტისა და ხელოვნების მოყვარულებს მოუთმენლად მოველით ჩვენი სასახლის იუბილეზე.

ესაუბრა ოთარ ნოზაძე.



## 30 წელიწადი გასულა სპორტული ნათლობიდან

**თამამად** შემიძლია ვთქვა, რომ თბილისის სპორტის სასახლე ქართველ ხელბურთელთათვის საკუთარი სახლი იყო. აქ ვვარჯიშობდით, აქ ვასპარეზობდით. აქ ვხვეწდით ოსტატობას. ტრიბუნები მუდამ სავსე იყო მაყურებლით, მიუხედავად იმისა თუ რომელ გუნდს ვხვდებოდით. სასახლის გაჩირაღდნებულ სარბიელზე (იგი ხომ, ფაქტობრივად, ხელბურთელებმა გავხსენით), გამართული ბევრი მატჩი მაგონდება.

სამი ათეული წელი გავიდა მას შემდეგ, ჩვენი დიდი სპორტული ნათლობა რომ შედგა.

...უნგრეთის ძლიერ გუნდს ვხვდებოდით. ხელბურთის გამოუცდელი დებიუტანტები: აბაიშვილი, ანთაძე, ფხაკაძე, კარტოზია, მაჭავარიანი, ექსეულიძე და სხვა ახალბედები სახელგანთქმულ ადორიანისა და კოჩიშის გუნდს ვეთამაშებოდით. ასეთ მოკაშკაშე ვარსკვლავებს არ შევუშინდით და ორივე შეხვედრა მოვიგეთ. რა დამავიწყებს აგრეთვე, მატჩს ევროპული ხელბურთის ერთ-ერთ გრანდთან — იუგოსლავიის „მედვეშჩაკთან", რომელმაც... მხოლოდ ჰაერში აგდებული მონეტით „მოგვიგო", ანდა, ჩვენი მეკარის ჯემალ აბაიშვილის მიერ კარიდან კარში გატანილ ბურთებს მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტისა და კიევის „ბურევესტნიკის" გუნდებთან. სხვათა შორის, იმხანად ჟურნალ „ნიანგში" დაიბეჭდა შარჟი ჯემალ აბაიშვილსა და შოთა იამანიძეზე. დინამოელთა კაპიტანი სთხოვდა ჩვენს კაპიტანს: „მანახე შენი ოქროს მედალი!". ეს 1962 წელს იყო. ორი წლის შემდეგ, იმავე ჟურნალში „საპალუხო" შარჟი დაიბეჭდა: ახლა უკვე შოთა იამანიძე აჩვენებდა ჯემალ აბაიშვილს ოქროს მედალს. სამწუხაროდ, არც ერთი, არც მეორე კაპიტანი აღარაა ამ ქვეყნად. იქნებ მათ საპატივსაცემოდ სპორტის სასახლის სარბიელზე მოვაწყოთ ერთდროული მატჩი მინიფეხბურთსა და ხელბურთში (თითო ტაიმი) იმ წლების „დინამოს" ფეხბურთელთა და „ბურევესტნიკის" ხელბურთელ ვეტერანთა მონაწილეობით.

ჯემალ ცერცვაძე,
სპორტის საპატიო ოსტატი.

## ამაყად დგას და ჩვენც გვაამაყებს...



ჯუნა მიქატაძე

ვისაც ჩვენს სპორტის სასახლესთან ჩაუვლია, ცხადია, შეამჩნევდა მის წინ აღმართულ დიდებულ ბრინჯაოს ფიგურას — „მზეჭაბუკს". თითქმის 20 წელია აქ, სპორტის სასახლის წინ რომ დგას.

ამ სკულპტურული ძეგლის ავტორია თბილისის სამხატვრო აკადემიის მაშინდელი ასპირანტი, მოქანდაკე ჯუნა მიქატაძე (დღეს იგი სახალხო მხატვარია — რუსთაველის პრემიის ლაურეატი, სამხატვრო აკადემიის პროფესორი).

ლენინგრადში ცნობილ ქარხანა „მონუმენტსკულპტურაში" ჩამოასხეს „მზეჭაბუკის" ბრინჯაოს ხუთმეტრიანი ფიგურა, რომელიც ექვს ტონას იწონის.

დღეს „მზეჭაბუკი", ისევე როგორც სპორტის სასახლე, ჩვენი ქალაქის ნამდვილი მშვენებაა, მაგრამ თავიდანვე ასე როდი იყო. ახალმა ძეგლმა ქალაქში მაშინ დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. ბევრს მოსწონდა იგი, ზოგი კი აშკარად გმობდა „შიშველ-ტიტველ" ჭაბუკს და მის ავტორს: როგორ შეიძლება ასეთი ძეგლი დაიდგას თბილისშიო? ტანისამოსის მაგიერ ავტორს მისთვის მხოლოდ ცარიელი ფოთოლი გაუმეტებია! ზოგიერთი მას დაცინვით „ფოთოლასაც" კი უწოდებდა. „მზეჭაბუკს" ვერ ნახავდით თბილისის ხედების ვერცერთ ფოტოალბომში, აშკარად არ სწყალობდა მას პრესა, ტელევიზია.

...დრომ თავისი მოიტანა — მოხდა, ასე ვთქვათ, ფასეულობათა, შეხედულებათა, თუ გნებავთ, გემოვნებათა ერთგვარი გადაფასება.

დღეს ყველას ერთნაირად მოსწონს „მზეჭაბუკის" მომხიბლავი ფიგურა, მისი ქართული, ამაყი იერსახე, ვაჟკაცური აღნაგობა.

იგი მართლაც სავსებით შეეფერება ადგილს, თბილისის სპორტის სასახლის წინ, სადაც აგერ უკვე, ორი ათეული წელია, „ერთგულ გუშაგად" დგას.

გია მახიტაშვილის ფოტოები.

## იუბილესთვის გამოიცა

**თბილისის** სპორტის სასახლის საიუბილეოდ საქართველოს ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა „სამშობლოში" დაისტამბა 16-გვერდიანი ილუსტრირებული, მხატვრულად ნაბეჭდი პროგრამა-ბუკლეტი. მისი ტირაჟია 10 000 ეგზემპლარი, ფასი 1 მან. 80 კაპ.




ამ საინტერესო გამოცემაში გაეცნობით სპორტის სასახლის ექვსივე დირექტორს, მათ მიერ ნაამბობ კურიოზულ ამბებს; „გაესაუბრებით" სასახლის ერთ-ერთ ავტორს — არქიტექტორ იური კასრაძეს, აქ პირველი დღიდან მომუშავე „შვიდქალას"; იხილავთ მასში სხვადასხვა დროს გამოსულ ხელოვნების ვარსკვლავთა სურათებს, სასახლეში გამოშვებულ სამკერდე ნიშნების კოლექციას; გაეცნობით სახუმარო კონკურსს. ვინ იცის, ეგებ მოიპოვოთ მასში გამარჯვებულისათვის განკუთვნილი პრიზი?!.

## ჯანმრთელობის ზონა მეტარ იტევს მსურველებს

**...შარშან, თებერვალში, სპორტის სასახლის მიმდებარე ტერიტორიაზე დაიწყო დიდი სპორტული კომპლექსის მშენებლობა. ნაგვისაგან გაასუფთავეს ტერიტორია და საქმეს შეუდგნენ. ააშენეს მშვენიერი თანამედროვე სპორტული კომპლექსი. მართლაც, რომ სარეკორდო დროში — შვიდ თვეში აიგო და ამოქმედდა.**

დღეს კომპლექსში სამი საცურაო აუზია, აქვეა ათლეტიზმის დარბაზი თანამედროვე დანადგარებით, საუნები, სამედიცინო კაბინეტი და სხვა.

განსაკუთრებით ხალხმრავლობაა საცურაო აუზებში (დიდი, საშუალო და საჭყუმპალაო). საინტერესოა, რომ აუზები იწმინდება არა ქლორით, არამედ ვერცხლის შემცველი იონიზატორით.

კომპლექსი ველარ იტევს მსურველებს. მათ მოზღვავებულ ნაკადს არ ჰყოფნის გასახდელები, საშხაპეები...

ახლახან ჯანმრთელობის ბაზაზე ჩამოყალიბდა მცირე საწარმო, რომელსაც „მორკინალი" უწოდეს.

— „მორკინალი" საქველმოქმედო სამუშაოს ეწევა — გვეუბნება მისი დირექტორი ჯონი გიგანი. — უფასოდ ვემსახურებით ოთხ ათეულამდე ადამიანს, მათ შორის, ინვალიდებს.

კომპლექსში ნებისმიერი ასაკის ადამიანს შეხვდებით. სიტყვამ მოიტანა და ვიტყვით, რომ აგვისტოში კომპლექსს ჩაუტარდება სარეკონსტრუქციო სამუშაოები. გათვალისწინებულია აუზის სახურავზე, ასე ვთქვათ, მინიპლაჟის მოწყობა. იმასაც ვიტყვით, რომ მოგვიანებით, სპორტის სასახლე საკუთარი სასტუმროთიც შეეგებება ჩვენი ქალაქის სტუმრებს.



სპორტის სასახლის
ჯანმრთელობის კომპლექსი
„მორკინალი" გიწვევთ!

# პრომეთე

სული გულს – მოდგინე არს, ხოლო ხორცნი უძლურ მათე 26, 41.

საქართველოს ინვალიდთა სპორტული ფედერაციის გაზეთი. „ლელოს“ დეკადური დამატება

## მკითხველისადმი

წინამდებარე გაზეთის სახით ქართველ მკითხველს წარუდგება ახალი სპორტული ბეჭდვითი ორგანო.

ჩვენს სახელწოდებაში „პრომეთე“ დატეულია ტიტანური ძალისხმევის, განგების მიერ მოვლენილი განსაცდელის და მისი დაძლევის ის სიმბოლიკა, რაც ნიშნადია ამ ბერძენი ღმერთკაცის, შესატყვისადვე გმირთაგმირის ამირანისათვის.

„პრომეთე“ დაფუძნებულია ინვალიდთა სპორტული ფედერაციის ბაზაზე, და ამიტომაც მისი უპირველესი მიზანი იქნება სწორედ ხეიბართა სპორტული ცხოვრების გაშუქება.

ოღონდ ჩვენი მიზანდასახულობა მარტო ამ სფეროთი როდი ამოიწურება.

ჩვენ ვფიქრობთ შევქმნათ უნივერსალური სპორტული გაზეთი, სპორტის ყველა სფეროს, მათ ისტორიასა და მათ აწმყოს რომ მოიცავდეს, რის ფარგლებშიც ჯეროვნად წარმოვაჩენთ ხეიბართა სპორტულ მინაღწევარს.

ასე რომ გაზეთი „პრომეთე“ იქნება ერთგვარი ენციკლოპედია სპორტისა.

ამით ჩვენ გარკვეულწილად შევავსებთ ქართულ სპორტულ ლიტერატურაში ამ მხრივ არსებულ ხარვეზებს და ამასთანავე საერთო სპორტულ ფერხულში მოვაქცევთ ხეიბარ სპორტსმენებს.

ამგვარია ჩვენი ლტოლვა და მიზანი, ამგვარია ჩვენი გრძნობა და აზრი.

გვსურს მადლიერად მოვიხსენიოთ გაზეთ „ლელოს“-ს რედაქცია, ვინაც თავის ფრთის ქვეშ შეიფარა ჩვენი ეს ნაშრომ-ნაღვაწი.

დანარჩენი, როგორც იტყვიან, მკითხველმა განსაჯოს.

გაზეთ „პრომეთეს“ რედაქცია

## რუსთაველი და სპორტი

შოთა რუსთაველის დიდებული პოემა „ვეფხისტყაოსანი“ მომცველია ადამიანის აზრის, გრძნობისა თუ ქმედების ყველა და ყოველ სფეროსი. დიდ პოეტს არ გამორჩენია, რაღა თქმა უნდა, სპორტიც.

ამიტომაც ჩვენ გაზეთს წავუმძღვარებთ რუსთაველის ღრმააზროვან სტროფებს, სადაც ხელოვნების უმაღლესი დარგი, პოეზია, განმარტებულია სპორტთან ასოციაციით.

შაირობა პირველადვე სიბრძნისაა ერთი დარგი,
საღმრთო საღმრთოდ გასაგონი, მსმენელთათვის დიდი მარგი,
კვლა აქაცა იამების, ვინცა ისმენს კაცი ვარგი,
გრძელი სიტყვა მოკლედ ითქმის, შაირია ამად კარგი,
**ვითა ცხენსა შარა გრძელი და გამოსცდის დიდი რბევა,**
**მობურთალსა მოედანი, მართლად ცემა, მარჯვედ ქნევა,**
მართ აგრევე მელექსესა ლექსთა გრძელთა თქმა და ხევა,
რა მისჭირდეს საუბარი და დაუწყოს ლექსმან ლევა.
მაშინღა ნახეთ მელექსე და მისი მოშაირობა,
რა ველარ მიჰხვდეს ქართულსა, დაუწყოს ლექსმან ძვირობა,
არ შემოაკლოს ქართული, არა ქმნას სიტყვა-მცირობა,
**ხელ-მარჯვედ სცემდეს ჩოგანსა,** იხმაროს დიდი გმირობა.
მოშაირე არა ჰქვიან, თუ სადმე თქვას ერთი, ორი,
თავი ყოლა ნუ ჰგონია მელექსეთა კარგთა სწორი;
განაღა თქვას ერთი, ორი, უმსგავსო და შორი-შორი,
მაგრა იტყვის: „ჩემი სჯობსო“, უცილობლობს ვითა ჯორი.
მეორე ლექსი ცოტაი, ნაწილი მოშაირეთა,
არ ძალ-უც სრულ-ქმნა სიტყვათა გულისა გასაგმირეთა,
ვამსგავსე **მშვილდი** ბედითი ყმაწვილთა **მონადირეთა:**
დიდსა ვერ მოჰკლვენ, ხელად აქვს ხოცა ნადირთა მცირეთა.

## სულისა და სხეულის გამო

ყველა სულიერთაგან, მხოლოდ ადამიანის სულს მოსავს ყველაზე მეტი ძალი გაუმკლავდეს შიმშილსა და წყურვილს, სიცივესა და სიცხეს, კურნოს სნეულებანი, ავარჯიშოს საკუთარი ძალ-ღონე და იღვაწოს მეცნიერებათა შესწავლისათვის, რომელ სულს, თვინიერ კაცისასა ძალუძს დაიხსომოს ის, რაც მოისმინა, ან იხილა, ისე კარგად, როგორც კაცის სულსა. ცხადზე ცხადია, ადამიანები ღმერთების დარნი რომ არიან სხვა ცოცხალ არსებათაგან გამორჩევით და თავიანთი სულის თუ სხეულისა ბუნებით ბევრად აღემატებიან მათ.

**სოკრატე**

სხეული იარაღი, ეტლი და თანამდგომია ადამიანის სულისა. ადამიანის არსი კი ჭეშმარიტად სულია მხოლოდ.

**ფილიპე მარტომყოფი**

## „შევარდენის“ სპორტული მცნებები

„საზოგადოება „შევარდენმა“ ოქროს ასოები ჩაწერა ქართული სპორტის ისტორიაში. ამ დიდებული სატანვარჯიშო ეროვნული ორგანიზაციას თავკაცობენ ისეთი განათლებული პირნი, როგორნიც იყვნენ გამოჩენილი ქართველი სწავლული და ტანთმოვარჯიშე გიორგი ნიკოლაძე, სპორტის თეორეტიკოსი გიორგი მერკვილაძე თუ სხვანი. ვბეჭდავთ მათ მიერ განმარტებებს „შევარდენის“ მიზანდასახულობებისა, რომლებიც სპორტის ზოგად ფორმულებადაც არის გამოსადეგი.

„შევარდენ“ ქართველი ხალხისათვის მოაქვს სილამაზე და მშვენიერება, მისი გამოჯანმრთელება; ზნეობრივი და სულიერი აღზრდა, — აი, რა აქვს დასახული „შევარდენს“ მიზნად.

„მცნებები — ძმობა, ერთობა, თავისუფლება — იმთავითვე ამშვენებდა „შევარდენის“ დროშებს.“

„შევარდენმა“ უნდა აღუზარდოს სამშობლოს ღირსეული შვილები, განავითაროს მათში ვაჟკაცობა, მედგრობა, სიმარდე და ტანის სისხარტე, აგრეთვე ჩაუნერგოს გრძნობა სიმშვენიერისა და შეგნება წეს- მორჩილებისა, მოვალეობისა“.

„ვერა და ვერ იარსებებს ის სახელმწიფო, რომელიც იქნება კრება მხოლოდენ სუსტ და სნეულ ადამიანთა. „შევარდენი“ კი აღზრდის ძლიერ და სულითა და სხეულით მრთელ მამულიშვილთ.“

## ქართული სპორტის შესახებ

ათიანი წლების მეორე ნახევარში, კერძოდ 1918 წელს საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში გამოდიოდა ჟურნალი „პრომეთე“, რომელსაც ძირითადად მოსავდა ლიტერატურული გამიზნულობა; მაგრამ მის ფურცლებზე მაინც გარკვეული ასახვა ჰპოვა სპორტის სფერომაც. მხედველობაში გვაქვს ჟურნალში დაბეჭდილი აღმოსავლური გამონათქვამები, მაგალითად,

„გაუსინჯავად ნუ გაარბენ ცხენს
ასპარეზს სიჩქარისას,
თვ არა ერთხელ წაგექცევა, სარგოს
ჰპოვებ მერმე რისას“

აფორიზმები „ქილილა და დამანა“-დან
თარგმნილი ვახტანგ მეფის მიერ.

## ხეიბართა სავარძლის ქართველი გამომგონებელი



1912 წლის 14 ოქტომბრის „სახალხო გაზეთის“ სურათებიან დამატებაში (№ 127) გამოქვეყნებულია ფოტო-სურათი, რომელზეც გამოსახულია სავარძელში მჯდარი ქართულად ტანშემოსილი მამაკაცი.

სურათს წარწერილი აქვს: თავადი ირაკლი ვასილის ძე მებურო-ვაჩნაძე, თვითმოძრავ სავარძლისა და ფეხის ოფლის გამქრობ წინდების გამომგონებელი.

ჩვენთვის დიდი პატივია, თუკი ეს პიროვნება მართლაც პირველი გამომგონებელი იყო თვითმოძრავი სავარძლისა. ერთი რამ უდავოა: ამ მანქანის კონსტრუირებაში ხსენებულ კაცს უთუოდ დიდი წვლილი აქვს შეტანილი.

მკითხველებს ვთხოვთ, მიაწოდონ რედაქციას, თუკი აქვთ რაიმე ცნობა ი. ვ. მებურო-ვაჩნაძის შესახებ.



## „მტკვრისპირელი გარინჩა“

ფეხბურთის ჭეშმარიტი დიდოსტატი, განუმეორებელი მიხეილ მესხი გაზეთ „პრომეთეს“ რედკოლეგიის საპატიო წევრი უნდა ყოფილიყო. განგების ნებით ეს არ მოხდა, მაგრამ ჩვენი გაზეთი კვლავ და კვლავ მიუბრუნდება სახელოვან სპორტულ გზას ამ დიადი ფეხბურთელისა, ვინაც სპორტი აზიდა ხელოვნების სიმაღლემდე.

რუხი ფერის „დუგლასი“, კარგა ხანია, მოწყდა რიო-დე-ჟანეიროს ბეტონის აეროდრომის საფრენ ბილიკს და კურსი ბუენოს-აირესისაკენ აიღო. როცა ცის კაბადონზე პირველი ვარსკვლავები აკიაფდნენ, არგენტინის დედაქალაქი დიდი პატივით დახვდა საბჭოთა კავშირის ფეხბურთელთა ნაკრებს, რომელიც

( დასასრული მე-2 გვ )

# „მტკვრისპირელი გარინჩა"

( დასასრული )

თურქეთის „მეტხატ ფაშას" სტადიონზე გამართული მსოფლიოს ჩემპიონატის უკანასკნელი შესარჩევი შეხვედრის შემდეგ ჩამოვიდა „ფეხბურთის მექაში". ფეხბურთი არგენტინელთა თავისებური კულტია. აქ იგი სპორტის უძველესი სახეობაა, მას მორჩილებს ყოველი. ისინი, ვინც ჯეროვან პატივს არ მიაგებენ ფეხბურთს, მარცხდებიან საპარლამენტო არჩევნებში და ხალხის სრულ უნდობლობას იმკიან.

არგენტინისა და საბჭოთა კავშირის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდების საერთაშორისო ამხანაგურმა მატჩმა ბუენოს-აირესის მკვიდრთა გულისყური მიიპყრო. მეორეს მხრივ პრესა, რადიო და ტელევიზია ერთობ ცრად შეხვდა ევროპის 1960 წლის ჩემპიონს — საბჭოთა კავშირის ფეხბურთელთა ნაკრების მეგობრულ ვიზიტს ფეხბურთის კონტინენტზე. ფსიქოლოგიური იერიშიც მიიტანეს, — მასპინძლები 4:0, 5:1 სძლევენო დათვების სამშობლოდან ჩამოსულ რუსებს და სხვა ამგვარი.

— კარგია ბიჭებო, — თქვა ნაკრების მესაჭემ გავრილ კაჩალინმა, რომ აქ სერიოზულ მეტოქედ არავინ გვთვლის. ჩვენი ვალია, დავუმტკიცოთ არგენტინელებს, რომ არცისე ძლიერია ეშმაკი, როგორც ჰგონიათ. ამხანაგური მატჩის ნანატრი დღე — 1961 წლის 18 ნოემბერიც დადგა. 110.000 კაცის დამტევ „რივერ-პლეიტი"-ს სტადიონის ტრიბუნებზე ნემსიც არ ჩავარდებოდა. როცა ხასხასა მწვანე მინდორზე წითელ მაისურებიანი ფეხბურთელები გამოჩნდნენ, კანტიკუნტად გაისმა ტაში. თანამემამულეებს კი შეეგებნენ — არგენტინა, არგენტინა, არგენტინა! — ზრიალებდა ბუენოს-აირესი. მატჩიც დაიწყო. სტადიონი ვულკანის კრატერს წააგავდა. არგენტინელი ვარსკვლავები: სან-ფილიპო, პიცუტი უმალ შეუდგნენ ლევ იაშინის კარის იერიშს. უშეცდომოდ, ცირკის ჯამბაზებივით გადასცემდნენ ბურთს ერთმანეთს მასპინძლები. ყოველივე ეს ტრიბუნებს ალიტაცებდა. როცა ტექნიკური ილეთების კონცერტი დასრულდა, ბურთი მარცხენა ფრთაზე დოინჯ-შემოყრილმა მიხეილ მესხმა მიიღო, მის შესახვედრად ზანტად გამოემართა მარჯვენა მცველი სემეონე. მოულოდნელად, თბილისელმა, თავისი ონავრული ხერხი მოიშველია და უკან ჩამოიტოვა განაპირა მცველი, შემდეგ ამხანაგის დასაზღვევად გამომართულ შუაგულ მცველს დელგადოსაც წააკითხა წითელ მაისურზე ამოქარგული მეთერთმეტე ნომერი და ბურთი კარის წინ ჩააწოდა. არგენტინელთა კარის დარაჯმა რომამ გაჭირვებით მოიგერია სახიფათო თავდასხმა. წუთიც და მესხი ბრწყინვალედ გავიდა მარცხენა ფრთაზე და სიმეონემ მწვანე მინდორზე მოადინა ზღართანი. განცვიფრებამ შესძრა ტრიბუნები, გულშემატკივრები შეძრწუნდნენ. მერე კანტიკუნტად ტაშიც დასცხეს. როცა თბილისელმა თავისი გვერდითი გარღვევანი უკვე სისტემა-ჰყო, ტრიბუნები ახმიანდა: ბრავო მესხი, ვივა მესხი. უმჯობესია, ამ ისტორიული მატჩის უშუალო მონაწილეს, ნაკრების ცენტრალურ თავდამსხმელს ვიქტორ პონედელნიკს მოვუსმინოთ. წიგნში „საჯარიმო მოედანი" იგი წერს: „მიშას ყოველგვარი ცრუ მოძრაობა ეხერხებოდა, ხოლო მისმა ცნობილმა საფირმო ილეთმა თავგზა აუბნია არგენტინელთა განაპირა მცველს სემეონეს. მან ის იყო წაიუხეშა მესხის მიმართ, მაგრამ ამჯერადაც ვერ გამოიყვანა წონასწორობიდან დინამოელთა კერპი. ცენტრალური მცველი დელგადო ერთობ ხშირად ამხანაგის დასაზღვევად თამაშობდა, მესხთან ბრძოლაში ეხმარებოდა თანაგუნდელთ, ამან ყოვნი მომცა, ოდნავ შვებით ამოსასუნთქად. გადევწყვიტე უმალ მესარგებლა ამგვარი პოზიციური უპირატესობით. როცა ვორონინმა ბურთი კლავ მესხს გადასცა, მან, უკვე მერამდენედ იყო, აღარ მახსოვს, აუარა გვერდი სასტიკად გამწარებულ სემეონეს. მერმე მესხის წინ სტოპერი დელგადო აღიმართა. მიშა მასაც დაუძხლტა და ჩემკენ დაგეზებულად ზედ საჯარიმო მოედნის შუაგულ ჩაჰკიდა ბურთი. დარტყმა არცთუ ძლიერი, ოღონდ საკმაოდ ზუსტი გამოდგა. რომა ვერა და ვერ იფიქრებდა, თუ მე მოუმზადებლად, შეუჩერებლივ დავარტყამდი კარში. ბურთს ბადეშილა შეასწრო თვალი — 1:0. მესხისაკენ გავვარდი, ერთმანეთს ჩავეკარით. ივანოვი და ნეტოც შემოგვახტნენ, ძლივას სული მოვიბრუნეთ. მოგუგუნე სტადიონი წამით შეყოვნდა, მაყურებლებმა თავი სიზმარში იგულეს, არგენტინელი ფეხბურთელების სახეზე ღიმილი დავლანდე. თითქოს გვეუბნებოდნენ — „ეს ყველაფერი შემთხვევითია, თამაში ჯერ კიდევ წინაო".

რამდენიმე წუთის შემდეგ კვლავ მესხს გადასცეს ბურთი. წინ ისევ ამჯერადაც დაუდგა არაქათგამოცლილი სემეონე. მესხმა თავის ცრუ მოძრაობათა არსენალიდან — ყველაზე ონავრული ილეთი მოიშველია — ბურთმა გაწვრთნილი მხეცივით შემოურბინა სემეონეს და თბილისელთა საყვარელ კერპს დაუბრუნდა. მიხეილის მსხვერპლი ეს უკვე მერამდენე გზის გაერთხა მწვანე მინდორს. წითელმაისურიანმა თავდამსხმელმა მარჯვენა ფრთაზე სლავა მეტრეველი ჩართო იერიშში, მერე თავისი მეურვე წამოაყენა, მეგობრულად ხელი მოხვია. სლავამაც იაპონური ექსპრესის დარად ჩაუქროლა გაოგნებულ ვიდალს და საჯარიმო მოედნის შუაგულში, კარის წინ ჩასაფრებულ პონედელნიკს გადასცა ბურთი. — როსტოველთა ცენტრალური თავდამსხმელი ჰაერში ყირამალა ამოტრიალდა და უკუდარტყმით ბადეში გაგზავნა — 2:0. ორმოქმედებიანი საფეხბურთო სპექტაკლი, რომლის მთავარი დირიჟორები მიხეილ მესხი და სლავა მეტრეველი იყვნენ, სტუმართა ბრწყინვალე გამარჯვებით დამთავრდა (2:0) დასრულდა. მაგრამ ამ დიდ საფეხბურთო შოუს ჰქონდა მესამე მოქმედებაც. ალტაცებული გულ-შემატკივრები რკინის მავთულიან ღობეს გადმოევლენ და გასახდელისაკენ მიმავალ საბჭოთა ფეხბურთელებს დაედევნენ. მიშა მესხს წითელი მაისური შემოაგლიჯეს, ნაკუწ-ნაკუწ აქციეს. იგივე ბედი ეწია მესხის ტრუსებს, გეტრებს; გარს ეხვეოდნენ, კოცნიდნენ მიშას, მხარზე შეისვეს; ჰაერშიც აგდეს, ავტოგრაფებს სთხოვდნენ.

— თავი სიზმარში მეგონა, — იტყვის ამ საფეხბურთო სპექტაკლის მთავარი გმირი მიხეილ მესხი. ნეტავ ვიდეოფირზე გადაგველო ეს თამაში, — თქვა სლავა მეტრეველმა.

. ახლა, მოდით, თვალი გადავავლოთ არგენტინის გაზეთებს, აგრერიგად რომ ტრაბახობდნენ მატჩის წინ. ბუენოს-აირესის სპორტულმა გაზეთმა პირველ გვერდზე დიდი განფენით გამოაქვეყნა მესხისა და სემეონეს ორთაბრძოლის ფოტოსურათი, ამგვარი წარწერით — ილეთი, რამაც „რივერ პლეიტზე" დაამარცხა არგენტინა. თვით სემეონე წერდა: „მიმაჩნია, რომ მესხი ერთ-ერთი უძლიერესია მთელს მსოფლიოში. მეტადრე მაშინ გავოცდი, როდესაც მან თავის თავს გადააწოდა ბურთი. გარდა იმისა, რომ ბუენოს-აირესისა თუ სხვა ქალაქების გაზეთებმა უხვად დასტამბეს მესხის, მეტრეველის, პონედელნიკის ვეება ფოტოსურათები, ერთმა ფეხბურთის სპეციალისტმა თავისსავე ჟურნალში გამოაქვეყნა ჩვენ ფეხბურთელთა ნიხრი, სადაც მიხეილ მესხი, სლავა მეტრეველი, ვიქტორ პონედელნიკი, ცალ-ცალკე 50 მილიონ პესოდ იყვნენ შეფასებული.

სასტუმროში მესხს ერთმა ფეხბურთის საქმოსანმა [illegible] არგენტინაში დასარჩენად 50 მილიონი პესო შესთავაზა.

— ეს იმდენი ფულია, [illegible] უზრუნველად იცხოვროთ, თუკი არგენტინის ერთ-ერთ კლუბში ითამაშებთ.

— ფეხის ფეხზე გადადებას არ ვაპირებ, ჩემი სპორტული კარიერა ახლა იწყება და ვოცნებობ, ვითამაშო ქართველი ხალხისათვის, ჩემი საყვარელი გუნდის თბილისის „დინამოს" შემადგენლობაში, — მიუგო გაწბილებულ ბიზნესმენს „მტკვრისპირელ გარინჩად" მონათლულმა ფეხბურთელმა. ეს მეტსახელი ხომ სავსებით სამართლიანად შეარქვა ცნობილმა სპორტულმა ჟურნალისტმა ალექსანდრე ვიტენბერგმა.

მიშა მესხისა და გარინჩას შეხვედრა მოხდა 1965 წლის 4 ივლისს მოსკოვში, როცა 100-ათასიან, გადაჭედილ სტადიონზე ერთმანეთის პირისპირ წარსდგნენ მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი ბრაზილიისა და საბჭოთა კავშირის ნაკრები გუნდები. ხოლო ეს ფოტო მატჩის დაწყების წინა დღეს — 3 ივლისსაა გადაღებული, როცა ბრაზილიელი ჯადოქრები საწვრთნელ ვარჯიშს აწყობდნენ ლუჟნიკებში. ერთხელ, ბრაზილიური ფეხბურთით მოჯადოებულმა, კითხე მიხეილ მესხს — ვინ არის-მეთქი შენი საყვარელი პიროვნება მსოფლიო ფეხბურთში, მან უყოყმანოდ მიპასუხა — გარინჩა, რა თქმა უნდა.

ხოლო მე თუ მკითხავდა ვინმე, ვინ არიან შენი რჩეულნი ტყავის ბურთის ოსტატნი, მყის მივუგებდი — რა თქმა უნდა მიხეილ მესხი, რა თქმა უნდა, გარინჩა.

შალვა ქირია

(გამოუქვეყნებელი წიგნიდან „ვარდები მიხეილ მესხისათვის")

# ბრმობილი მოკრივე



შიშველი მუშტით ბრძოლის ხანაში მოკრივე ჯეკ ბრაუტონმა დიდად ისახელა თავი რინგზე. მან დაჯაბნა მძიმე, 45 წუთიან ბრძოლაში „მეეტლის" მეტსახელით ცნობილი ჯორჯ სტივენსონი. ბრაუტონმა აგრეთვე ბევრი რამ შესძინა კრივის ხელოვნებას. სწორედ მან გამოიგონა ხელთათმანი, რითაც ძალზე შეამცირა სახის დაზიანება მატჩის დროს. მანვე გამოსცა (პირველად კრივის ისტორიაში) წესები, რომლებიც კრძალავდა დაცემული მოწინააღმდეგის ხელყოფას, თვალში მუშტის ჩაცემას და სხვა ასეთ უკადრის ილეთებს, მაგრამ თავად ვერ ასცდა მარცხს. 1740 წელს მან წააგო ჯეკ სლეკთან. ერთ-ერთ რაუნდში ბრაუტონმა მხედველობა დაკარგა თვალებში სისხლის ჩაქცევის გამო. ეს გახლდათ დროებითი სიბრმავე. ხეიბარმა მოკრივემ მაინც არ მიატოვა რინგი, ერთხანს მედგრად იბრძოლა თვალისჩინდაკარგულმა და თავის გაგულისებულ მეცენატს კამბერლენდის გრაფს, ვინც მის სასარგებლოდ დიდი სანაძლეო დადო, რინგიდან გადასძახა: „მართალია, დავბრმავდი, ოღონდ გალახული როდი ვარო".

ვაქვეყნებთ მეძოცინტის წესით (სპილენძისა ან ფოლადის ფირფიტაზე ამოკაწვრითა და შუქჩრდილის შესაქმნელი მოშანდაკებით) ჯონ ჰენრი მორტიმერის ჩანახატის მიხედვით ჯონ იანგის მიერ შექმნილ გრავიურას, ერთ პირველთაგან რეპრეზენტაციას კრივისა, რომელზეც ასახულია ეს მომენტი.

ედიშერ გორგაძე

საქართველოს კრივის ფედერაციის პროპაგანდის კომისიის თავმჯდომარე

## ინფორმაცია

# ითამაშებენ ინვალიდები

ინვალიდები რომ ფეხბურთს თამაშობენ, ეს ჩემთვის 30 წელზე მეტი ხნის წინათ იყო ცნობილი და ამაში თითქოს ახალი არაფერია. ისიც მაგონდება, რომ სწორედ 60-იან წლებში თბილისის ყრუ-მუნჯთა საზოგადოების ფეხბურთელთა გუნდი არაერთგზის იყო საბჭოთა კავშირის ჩემპიონი და პრიზიორი. რამდენიმე ყრუ-მუნჯი ქართველი ფეხბურთელი წარმატებით იცავდა ქვეყნის ნაკრების სპორტულ ღირსებას, ქართველები მონაწილეობდნენ ინვალიდთა ოლიმპიადებზეც.

უზბეკეთის დედაქალაქი — ტაშკენტი 11-20 ოქტომბრამდე უმასპინძლებს მსოფლიოს ჩემპიონატს ინვალიდებს შორის. საბჭოთა კავშირის ნაკრების ბირთვია ქვეყნის შარშანდელი ჩემპიონი ტაშკენტის „მატონატი". თამაშები ძირითადად „ფახთაქორის" 60000 კაცის დამტევ სტადიონზე გაიმართება. ამავე კლუბს გამიზნული აქვს დააფინანსოს აღნიშნული მსოფლიოს ჩემპიონატი, რომელშიც მონაწილეობის მიღების სურვილი გამოთქვეს — ბრაზილიის, ინგლისის, გვატემალის, გერმანიის, კანადის, ნორვეგიის, სალვადორის, ჩეხოსლოვაკიის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და სხვა ქვეყნების წარმომადგენლებმა. აღნიშნული მსოფლიოს ჩემპიონატი ფიფას (ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაცის) ეგიდით ჩატარდება.

ქართველი ყრუ-მუნჯი ფეხბურთელები ამ ჩემპიონატში მონაწილეობას არ მიიღებენ, რადგან საქართველოს სპორტის დეპარტამენტი გამოეყო საკავშირო სპორტსახკომს.

შოთა დარსაველიძე

# „გარე წრეზე" — საყდართან

გლდანელთა კულა
ჯერ არ გალახულა,
როცა გაილახება
მაშინ დაიმარხება.
ხალხური

სოფელი გლდანი კულა გლდანელის სამშობლოა და სწორედ ამითაა იგი ცნობილი. სოფლის ცენტრში ჯერ კიდევ არის ნასახლარი — ჩანგრეული სარდაფის ნახევარი ნაწილი. აქ, ამ სახლში ცხოვრობდა ლეგენდარული ფალავანი კულა გლდანელი ანუ ვანო ყირიმელი. დალაქ ბერუას ბიჭს მოხდენილობის გამო კულა შეარქვეს, გვარ-ფსევდონიმი კი ფალავანმა საკუთარი სოფლის სახელს მიუსადაგა.

„კულა ბიძაშვილის შვილი იყო მამაჩემ ალექსისი, — ყვება გლდანელი ბერიკაცი, კულას ხეჩნია ვანუა ყირიმელი და განაგრძობს, — კულა გლდანელს ერთ ღირსებად ისიც ეყოფა, რომ მან ძმურად გაუწოდა დამხმარე ხელი საზღვარგარეთ სასწავლებლად მიმავალ „მთის არწივს" — ვაჟა ფშაველას; კულას ჭიდაობა გაუმართია თიანეთში, ფულები მოუკრებია და ვაჟასთვის გადაუცია".

ჩვენი გლდანელი ნაცნობი გადმოგვცემს თავისი ახლობლების სხვა ნაამბობსაც:

— წრეში რო გადახტებოდა, კულას თავზე ნაბდის ქუდი ეხურა. წინასწარ იტყოდა, თუ არ წავაქციე ჩემი მეტოქე, ეს ქუდი ჩემზე არამი იყოსო.

შთამომავლობა თუ დარჩა კულა გლდანელს — მეთქი — ერთი ქალი ჰყავდა პატარში გათხოვილი. მისი ასავალ-დასავალი კი არავინ იცისო — გვიპასუხა მასპინძელმა.

გიგუა აბუაშვილიც კულას ნათესავია. ის დიდხანს იყო სოფელ გლდანის საჭიდაო ცირკის გამგე. დღეს ეს ცირკი კულა გლდანელის სახელობისაა. გიგუა ჰყვება კულას ძმების ესტატეს, გიორგის, მიხეილის და მათი ერთი დის ამბავს.

სხვათა შორის, კულას გარდა სოფელ გლდანიდან სხვა ცნობილი ფალავნებიც გამოსულან: ათოლა გლდანელი, ვანო ოდიშელი („ჯიბგირა"), პატარა გლდანელი — ვანო წამალაშვილი, მიტო სუხიტაშვილი, ალექსანდრე დიასამიძე, ვანო მიდელაური და სხვები.

გლდანის მთის ძირში შემორჩენილია კოტე ბატონის „გარე წრე". ამ საჭიდაოზე ხშირად უჭიდავნია თვით კულასაც. დღეს აქ მცირე ზომის საყდარია. ზედ საჭიდაო წრეზე კი (ამ სრულიად შეუფერებელ ალაგს) ობელისკია აღმართული მეორე მსოფლიო ომში დაღუპულთა სახსოვრად. ჰმ

კულას ზუღურეთში ჰქონია ბინა. შეიძლებოდა მოძიებულიყო იგი, სახლის წინა კედელზედაც მემორიალური დაფა გაკრულიყო, მაგრამ ბინას ვინღა დაეძებს; ვგლახ რომ, მისი საფლავიც საპოვნელია. არადა, ეს ლეგენდარული ფალავანი და საზოგადო მოღვაწე 1933 წელს გარდაიცვალა. ისიც ცნობილია, არტამ ყარალაშვილის თაოსნობით რომ დაუკრძალავთ, უამრავი ხალხი მიაცილებდა თურმე კულას ცხედარს. ზოგიერთი ცნობით კულა კუკიის სასაფლაოზე განისვენებს.

იმასაც ამბობენ, ავლაბარში, ხოჯევანქზე არისო დასაფლავებული.

58 წლის წინათ გარდაცვლილი ჩვენი საამაყო მოჭიდავის, კულა გლდანელის, საფლავს თუ არ დავკარგავთ და მოვიძიებთ, ამით ვფიქრობ, ერთ მამულიშვილურ საქმეს აღვასრულებთ.





# კაცი, ვინც კაპაბლანკა დაამარცხა

გივი გამრეკელი

მარცხდებოდა კი როდესმე კაპაბლანკა? მარცხდებოდა, მაგრამ ერთობ იშვიათად, და აი, ამგვარი შეუდარებელი მოჭადრაკე დაამარცხა 1925 წელს ბორის ვერლინსკიმ.

ბორის მარკის ძე ვერლინსკი დაიბადა 1887 წლის 27 დეკემბერს, ქალაქ ბახმუტში აწინდელი არტემიოვსკში, უკრაინაში. იგი ყრუმუნჯი იყო. ბავშვობიდან ისწავლა ჭადრაკის თამაში, რაც შემდგომ მისი ნამდვილი მოწოდება გამოდგა. ასე 20 წლისა, უკვე კარგი ოსტატის სიძლიერით თამაშობდა. 1909 წლიდან მოყოლებული სრულიად რუსეთის ჩემპიონატთა მონაწილე გახლდათ. მეტის და მეტის შედეგებით: 1910 წელს თუ მეთერთმეტე იყო, 1911 წელს — მეექვსე-მერვე ალგილები გაინაწილა, ხოლო 1913 წელს მესამე საპრიზო ადგილს დაეუფლა. ალბათ პირველად იყო ისტორიაში, როცა ყრუმუნჯ მოჭადრაკეს ესოდენ შთამბეჭდავი წარმატება ხვდა წილად. 1910 წელს ვერლინსკიმ სამხრეთ რუსეთის უძლიერეს მოჭადრაკეთა ტურნირიც მოიგო ოდესაში. ერთი სიტყვით, რევოლუციის წინ მას უკვე უძლიერესი მოჭადრაკეების რიცხვს მიაკუთვნებდნენ.

1923 წელს ე.წ. „ქალაქთა ტურნირში“ ვერლინსკიმ საპატიო მეორე ადგილი დაიუფლა. დადგა 1925 წელი. საკავშირო ჩემპიონატს განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭა, რადგან უნდა შერჩეულიყვნენ მონაწილენი დიდი საერთაშორისო ტურნირისა, ეს ტურნირიც იმავე წელს მოსკოვში უნდა გამართულიყო. მოსკოვში დაგეგმილ შეჯიბრზე ვერლინსკიმ საუცხოო შედეგს მიაღწია: 19 შესაძლებლობიდან 12 ქულით მეოთხე ადგილი დაიმკვიდრა, ამასთან, ესეც გვახსოვდეს, პირველ პრიზიორ ეფიმ ბოგოლიუბოვსაც მოუგო, ასევე მეორე და მესამე პრიზიორებს — გრიგორი ლევენფიშსა და ილია რაბინოვიჩს.

მაშ ასე, ვერლინსკიმ მოსკოვის პირველი საეთაშორისო ტურნირის საგზური მოიპოვა. ტურნირში მონაწილეობდნენ: მსოფლიო ჩემპიონი ხოსე რაულ კაპაბლანკა, მსოფლიოს ექს-ჩემპიონი ემანუელ ლასკერი, მსოფლიო ჩემპიონობის პრეტენდენტი ეფიმ ბოგოლიუბოვი, გამოჩენილი დიდოსტატი ფრენკ მარშალი, კარლოს ტორე, სევილი ტარტაკოერი, რიჰარდ რეტი, ერნსტ გრიუნფელდი, აკიბა რუბინშტეინი, რუდოლფ შპილმანი, თვალს ესაკლისებოდა მარტოოდენ მსოფლიოს მომავალი ჩემპიონი ალექსანდრე ალიოხინი, — მისთვის საბჭოთა ტურნირთა „კარი“ დახშული გახლდათ. ამასთანავე დავუმატოთ ყოვლის უძლიერეს საბჭოთა ოსტატთა კრებული.

და აი მოიწია ჟამი, როცა კაპაბლანკა, სრულიად გასაგების მიზეზით უდავო პრეტენდენტი მოსკოვის საერთაშორისო ტურნირის პირველი პრიზისა, ვერლინსკის უნდა შეხვედროდა.

მსოფლიო ჩემპიონი თეთრებით თამაშობდა.

ის, რომ ჩემპიონმა დებიუტი როგორღაც სახელდახელოდ, საკმაოდ უინიციატივოდ გაითამაშა, ახალი ამბავი არ ყოფილა. კაპაბლანკა დებიუტს ნაკლებ მიუპყრობდა ხოლმე გულისყურს. მისი და, რა თქმა უნდა, ასევე მეტოქეთა საჭადრაკო ძალა მიტელშპილით წარმოჩინდებოდა სწორედ. მიტელშპილს ხომ ენდშპილი მოყვებოდა, აი, აქ კი კუბელს, როგორც იმხანად მიიჩნევდნენ, კონკურენტი არა ჰყოლია.

თეთრების რამდენადმე ექსცენტრულ თამაშს ვერლინსკიმ სტრატეგიული გეგმა დაუპირისპირა და პაიკებით ძლიერი ცენტრი აღაგო. კაპაბლანკა მცდელობდა როგორმე დამუქრებოდა ამ ცენტრს, მაგრამ ვერას გახდა, როქიც ველარ გაახერხა. როქს ვინ ჩიოდა, მეთორმეტე სვლაზე შავებმა ტაქტიკური დარტყმა განასრულეს და ლაზიერის მოგებას დაეპირნენ. კაპაბლანკა, იძულებული გახდა კარგა ხნით გამოერთო თამაშიდან საკუთარი ლაზიერი, რამაც შავების უდავო უპირატესობა განაპირობა. კაპაბლანკა, რაკილა პირწმინდად წააგო სტრატეგიული ბრძოლა, ტაქტიკურ შეხლა-შემოხლაში ეძიებდა ახლა გამოსავალს. მან არად ჩააგდო როქის დაკარგვა. თეთრების მე-19 სვლის შემდეგ დაფაზე სრულიად უჩვეულო პოზიცია აღჩნდა: თეთრ ლაზიერსა და ორ პაიკს შავი ეტლი და ორი კუ უპირისპირდებოდა. ვერლინსკის მოგების დიდი შესაძლებლობანი ეგულვებოდნენ, რაღა თქმა უნდა, მაგრამ მეტოქედ კაპაბლანკა ჰყავდა აკი, — სიფრთხილეს თავი არ სტკიოდა. მომდევნო გათამაშებაში შავებს ძნელად თუ დაუწუნებდი რაიმეს. კაპაბლანკა მცირე ძალთა ამარა მცდელობდა მოწინააღმდეგის მეფეს როგორმე დამუქრებოდა. ყოველივე ეს, როგორც იტყვიან, „რკინის ხელით“ აღიკვეთა. ვერლინსკის საბოლოოდ ორი კუ ეგულვებოდა თეთრი ეტლის წინააღმდეგ და ამ უპირატესობამ მე-60 სვლაზე გაამარჯვებინა.

ეს პარტია, როგორც სენსაცია, განქვეყნდა იმჟამინდელ პრესაში. ვერლინსკი დიდად პოპულარული მოჭადრაკე გახდა ერთბაშადვე.

ტურნირზე გაიმარჯვა ბოგოლიუბოვმა. (ოციდან 15,5 ქულა), მეორე ადგილი დასკერს წილხვდა, მესამე — კაპაბლანკას 13,5 ქულით.

ვერლინსკის საერთო სატურნირო შედეგი, თუკი დღევანდელ სიტყვას „რეიტნგს“ მივიშველიებთ, ერთობ კარგი გახლდათ: მან განთქმულ დიდოსტატებს რუბინშტეინსა და შპილმანთან 12-14 ადგილები გაინაწილა (ამასთან პირად შეხვედრაში ორივე დაამარცხა), — 9,5 ქულა მოაგროვა, გაასწრო ლევენფიშს, ვინაც იმხანად საბჭოთა კავშირის უძლიერეს მოჭადრაკედ მიიჩნეოდა.

1927 წელს საკავშირო საჭადრაკო ყრილობამ დააწესა საბჭოთა კავშირის დიდოსტატის წოდება. დიდოსტატის წოდების ძირითად პრეტენდენტებად იმხანობას გრიგორი ლევენფიშსა და პეტრე რომანოვსკის ასახელებდნენ.

1929 წელს ოდესაში საბჭოთა კავშირის მეექვსე ჩემპიონატი გაიმართა. ამჯერად გამოიყენეს მრავალსაფეხურიანი სისტემა. ვერლინსკი დიდი აღმავლობით თამაშობდა, შესარჩევ საფეხურებზე ტურნირებში გაიმარჯვა, შემდეგ რჩებოდა ფინალი. იმის გამო, რომ გამარჯვებულთაგანმა იზმაილოვმა ფინალში თამაში ვერ შეძლო, დაინიშნა სამთა მატჩ-ტურნირი ორ წრედ. ვერლინსკიმ თამაშიდან დაგროვილი 3,5 ქულით ჩემპონობა მოიპოვა.

ამ წარმატებისათვის ვერლინსკის მიანიჭეს კავშირის დიდოსტატის წოდება: 1934 წელს საკავშირო საჭადრაკო ყრილობამ საჭიროდ მიიჩნია ამ წოდების გაუქმება. ერთი სიტყვით, ღვაწლმოსილი მოჭადრაკე კვლავ დააბრუნეს ოსტატთა რიგებში, რომლებიც იმხანად საკმაოდ მცირერიცხოვანი გახლდათ. 1935 წელს საბჭოთა კავშირის დიდოსტატის წოდება კვლავ აღადგინეს და ის მიხეილ ბოტვინიკს მიენიჭა.

1931 წელს ვერლინსკის მონაწილეობა საბჭოთა კავშირის მეშვიდე ჩემპიონატში შედეგიანი გამოდგა. პირველ ადგილზე 20 წლის ბოტვინიკი გამოვიდა (13,5 ქულა 17-დან), 11,5 ქულით მეორე იყო რიუმინი, ვერლინსკიმ კი 10 ქულა მოაგროვა და III—VI ადგილები გაინაწილა. მან ყაიმით დაასრულა შეხვედრა ვიქტორ გოგლიძესთან.

1950 წელს ფიდემ ოფიციალურად დააწესა საერთაშორისო დიდოსტატისა და საერთაშორისო ოსტატის წოდებანი, 1950 წლიდანვე დაიწყო მათი მინიჭება და, აი, იმ მოჭადრაკეთა შორის, რომელთაც მაშინვე საერთაშორისო ოსტატის წოდება მიენიჭათ, ბორის ვერლინსკიც გახლდათ. ამავე წელს გარდაიცვალა იგი, 63 წლისა.

# ეროვნული მოძრაობა და სპორტი

1924 წლის სრულიად საქართველოს აჯანყების დასაწყისში ჩემთან მოვიდა ამბოხების კომიტეტის ერთ-ერთი წევრი, ოდიშარია და მითხრა: — „იწყება დიდი აჯანყება ბოლშევიკ დამპყრობთა წინააღმდეგ, მასში მონაწილეობენ არა მარტო სამხედრო პირნი, მუშები თუ გლეხები, არამედ ინტელიგენციის ღირსეული წარმომადგენლებიც, მაგალითად მწერალი ლევან გოთუა და სხვანი. დახმარება აღგვითქვა ევროპამ და ამერიკამაც და შევარდენიც“ უნდა შეგვიერთდესო.

მე მივუგე, ამას ვერ გადავწყვეტ-მეთქი და მივმართე ძმა გიორგი ნიკოლაძეს, ჩვენ ვარჯიშთავს.

ძმა გიორგი თავის მხრივ დაეკითხა მის მამას, ცნობილ საზოგადო მოღვაწეს, ნიკო ნიკოლაძეს. ბატონი ნიკო ახლად ჩამოსული გახლდათ ამერიკიდან, სადაც გასაუბრებია ჰიათურის მარგანეცის საბადოების მფლობელ ჰარიმანს. ეს ამბავიც უკითხავს. ჰარიმანს გაღიმებია და უთქვამს: ამერიკას მაგისთვის სად სცალია, ერთ ჯარისკაცსაც არ მოგაშველებთ, ამის იმედი ნუ გექნებათო.

ამის მერე ჩვენ უარი ვთქვით დასაღუპად განწირულ აჯანყებაში მონაწილეობაზე და მის მოთავეებსაც ვურჩიეთ ხელი აეღოთ ამ განზრახვაზე, მაგრამ არ დაგვიჯერეს.

ნიკო ნიკოლაძის სიტყვები გამართლდა. საზღვარგარეთმა დახმარების ხელი არ გამოგვიწოდა. დაიწყო სასტიკი რეპრესიები.

მე დამიბარა ბერიამ და მითხრა: ჩვენ ვიცით, რომ თქვენ უარი თქვით აჯანყებაში მონაწილეობაზე, ამიტომაც არავის თქვენგანს ხელს არ ვახლებთო.

მართლაც არცერთი „შევარდნელი“ არ დაუხვრეტიათ. ამიტომაც შესძლეს ჩვენი საზოგადოების წევრებმა შემდგომში საქართველოსათვის დიდი სარგებლობის მოტანა.

გიორგი მერკვილაძე



## ქართული ჯიში და სპორტი

### საქართველოს ეროვნული გმირი ქაქუცა ჩოლოყაშვილი

„შეფიცულთა რაზმის“ ბელადი, ქაქუცა ჩოლოყაშვილი უბადლო ცხენოსანი გახლდათ. გადმოცემით იგი ნაირგვარ ილეთებს ასრულებდა გაჭენებულ ცხენზე მჯდარი. მერმე ფეხით შედგებოდა მერანის ზურგზე და ძირს ხტებოდა, ოღონდ ისე, რომ არც წაიქცეოდა, არც შეირხეოდა, თითქოსდა შუბივით ესობოდა ნიადაგში.





### უწარჩინებულესი თავადი უჩა დადიანი

დიდებული გარეგნობისა და უზადო ზნეობის მქონე ქართველი სამხედრო პირი, უჩა დადიანი, გამოირჩეოდა იშვიათი ძალოვანებითა და სისხარტით. კარგად უწყოდა რა ეს ამბავი, ერთი რუსი ოფიცერი, გრიცკო ვინგენშტეინი მუდამ უდებდა მას სანაძლეოს ლამის შეუძლებელი, საფათერაკო საქმის აღსრულებაზე და მუდამ აგებდა.

ერთხელ დადიანი და ვინგენშტეინი მეფე ნიკოლოზ II-ის დარბაზობაზე საპატიო მცველებად იდგნენ. გრიცკო მიუბრუნდა უჩას და უთხრა, ამ სუფრას თუ გადაახტები, შამპანურით ქეიფს გაგიმართავო.

უჩამ არც დააცადა სიტყვის დამთავრება, ისე გადაევლო გრძელ სუფრას, რომ იარაღიც კი არ გაუჟღარუნებია.

ამ დროს შემობრძანდნენ მეფე-დედოფალი.

— თავადო უჩა, სად დგახართ, წესის მიხედვით თქვენ სხვა ადგილი გაქვთ სუფრასთან მიჩენილი, როგორ აღმოჩნდით მანდ! — შეეკითხა მეფე.

— აი, ასე თქვენო უდიდებულესობავ! — მიუგო უჩა დადიანმა, აიწვართა, კვლავ უჩუმრად გადაევლო მაგიდას და ძველ ადგილას დადგა.

აგული დადიანი

### იგავმიუწვდომელი ფალავანი კოლია ქვარიანი



იშვიათი ათლეტი, მსოფლიოს ჩემპიონი ჭიდაობაში, 1930-იან წლებიდან ემიგრაციაში მყოფი კოლია ქვარიანი, ბოლშევიკებმა საქართველოს დაპყრობის დღიდანვე შეიყვანეს თავიანთ პარტიაში. უთხრეს, ვითარების ნორმალიზაციისათვის სწორედ ძალოვან ხალხს, სპორტსმენებს ვუხმობთო ჩვენს რიგებში. ასე გააცურეს ეს დიდებული მოჭიდავე და ბრწყინვალე მოქალაქე; 1924 წლის სრულიად საქართველოს აჯანყების დროს კი აღივსო წითლების მიერ მანამდე წარმოებული რეპრესიების, ეკლესიებისა და კულტურული ძეგლების ნგრევის შემყურე, მერე კი დაუნდობელი დახვრეტების მომსწრე ქართველი პატრიოტის მოთმინების ფიალა. მან თავზე გადაახია ქუთაისელ ხელისუფალთ პარტიის მანდატი და როცა ამისათვის შეიპყრეს, ტარიელივით მისწვდა ერთ-ერთ დიდი ტანის შინსახკომელს და ისე დაანარცხა ძირს, რომ იგი კარგა ხანს აღარ მოსცილებია საავადმყოფოს საწოლს. კოლია ქვარიანი იხსნა იმან, რომ მის გამოსვლებს დიდძალი ფული შემოჰქონდა და სახელმწიფო ვერ შეელია ამ თანხას.

რუბრიკა მოამზადა ილია ჯანდიერმა

# სპორტი პოლიტიკაში პოლიტიკა სპორტში


КОМИТЕТ по ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ и СПОРТУ при СОВЕТЕ МИНИСТРОВ СССР

[illegible]

Зам. начальника Управления футбола

1978 წლის სექტემბერში გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდა" — ში დაიბეჭდა ფეხბურთის სამმართველოს უფროსის მოადგილის სოლოვიოვის პასუხები გულშემატკივართა შეკითხვებზე. ერთ-ერთი შეკითხვა ეხებოდა ფეხბურთის საკავშირო ჩემპიონატებში ლიბერალურ მსაჯობას. სოლოვიოვი ეთანხმებოდა ფეხბურთის გულშემატკივარს, თან დასძენდა, თითქოსდა საკავშირო ჩემპიონატებში მსაჯთა ლიბერალიზმს დაჩვეულმა თბილისის „დინამომ" პირველსავე საერთაშორისო მატჩში (თუ არ ვცდები, ეს ეხებოდა ჩვენს მიერ ციურიხში წაგებულ მატჩს) ხულიგანი გუნდის სახელი დატოვაო.

ცხადია, ამგვარი პუბლიკაცია დიდად სახარბიელო ვერ იქნებოდა თბილისის „დინამოს" პრესტიჟისათვის, ჩვენს გუნდს ხომ ჩემპიონობის რეალური შანსი ჰქონდა. ამით აღშფოთებულმა მივწერე საკავშირო კომკავშირის ცეკას მდივანს. „კომსომოლსკაია პრავდა"-ს რედაქტორს და საკავშირო სპორტკომიტეტის თავმჯდომარეს. საკავშირო ჩემპიონატებში მსაჯთა ლიბერალიზმი და მიკერძოება მართლაც რეალური ფაქტია, მაგრამ არა თბილისის „დინამოს" მიმართ-მეთქი, რაც გამოწვეულია იმით, რომ საერთოდ ყველა დარგში, მათ შორის სპორტის სფეროშიც, კერძოდ კი მსაჯებს შორის, მრავლად არიან ველიკორუსი შოვინისტები.

პასუხი მოვიდა სამივე ორგანიზაციიდან. სპორტკომიტეტიდან პასუხი მივიღე დაგვიანებით, მას შემდეგ რაც ჩვენ მოვიპოვეთ საბჭოთა კავშირის ჩემპიონობა. სპორტკომიტეტის პასუხს ხელს აწერდა წარსულში ცნობილი მეკარე, ფეხბურთის სამმართველოს უფროსის მოადგილე ივანოვი. ჩვენი წარმატებით ფრთაშეკვეცილი ივანოვი ბოდიშობდა, მე ვგულისხმობდი, რომ მსაჯები ლიბერალურად ექცეოდნენ არა მხოლოდ თბილისის „დინამოს", არამედ ჩემპიონატში მონაწილე ყველა გუნდებსო.

შოთა ინწკირველი

## იუმორის კუთხე



# სპორტსმენი გორბაჩოვი

მიხაილ გორბაჩოვი არასოდეს ყოფილა სპორტ-სმენი, მაგრამ გერმანულმა ჟურნალმა „შტერნმა" მაინც გამოაქვეყნა მისი კარიკატურა სპორტული ასპექტით. მასზე გორბაჩოვი გამოსახულია ვითარ ათლეტი, რომელიც ჯაჭვებს წყვეტს. ეს ჯაჭვები კი ისედაც დაშლილია ცალ-ცალკე სეგმენტებად და რგოლებად. აქ სსრკ-ს ხელმძღვანელი ასოცირებულია ცირკის ისეთ მსახიობებთან, ამგვარი იაფფასიანი ილეთებით რომ ატყუებენ დამსწრე მაყურებელს.

# ამერიკა და ინვალიდები

1990 წლის აგვისტოში ინვალიდთა ასოციაციის მიწვევით ვიმგზავრე ამერიკაში — ორიგონას შტატში, ქალაქ იუჯინში.

პირველი, რამაც გამაოცა, ის გახლდათ, რომ იქ ყველაფერი გათვალისწინებულია ინვალიდებისათვის. სასტუმროს ოთახის კარებში დატანებულია ჭვრითი, ჯანმრთელთათვის — მაღლა, ხოლო ინვალიდებისათვის — დაბლა. ამ საკეტის გაღება ძალზე სუსტ ადამიანსაც კი ძალუძს.

კონტრასტისათვის შევადაროთ ჩვენი ბინები, სადაც სასტუმროებიც ისევეა გამართული, როგორც სახლები.

თუ სასწაული მოხდა და ინვალიდმა მოინდომა სტუმრად წასვლა, საჭიროა წინასწარ მოძებნოს ორი ჯანმაგარი ადამიანი მის ჩასატანად და ამოსატანად რადგან ლიფტის შესასვლელი კარი ვიწროა, სატვირთო ლიფტები კი ყველა სახლს როდი ეპოვება. ხუროთ მოძღვრებმა კი მითხრეს, ხუთსართულიანზე მაღალ შენობას, მოქმედი კანონით უნდა დააყოლონო სატვირთო ლიფტი. „ჩამოიტანონ"-ო დიახ, ამგვარად სახელდებს ამ პროცესს ყოველი ინვალიდი, მერმე უნდა „აიტანონ"; ჩასვან თავის ეტლში, დატოვონ ან დარჩნენ მასთან. ხეიბრის სტუმრობა ყველას ახარებს, კმაყოფილია ყოველი კაცი, მაგრამ თუ „გაუთვალისწინებელი" რამ მოხდა, ყოველი კაცის დარად მათაც, ვთქვად და, ბუნებრივი მოთხოვნილება აღუჩნდათ. რა ქნან? რა იღონონ? მეტადრე ქალებმა. სტანდარტით შესასვლელი, გარეთა ჩარჩოსა და კარის სისქის გამოკლებით, არანაკლებ 68 სმ-ისა უნდა იყოს. თუმცა ეს ზომაც არ არის საკმარისი საბჭოთა ეტლებისათვის, მაგრამ სტანდარტიც რომ არ არის დაცული! უმეტეს შემთხვევაში კარი 55 სმ-ია. სასაცილოა არა? ბევრი ამ შემთხვევის გამო სიცოცხლესაც გამოესალმა, ბევრს დეპრესიამ და მარტოობამ დარია ხელი, ზოგიც ჭკუიდან გადავიდა. რაღა დაგრჩენია, სჯობს შინ იყო და გარეთ ფეხი არ გადგა, რათა აიცილო თავიდან ყოველივე. ბევრს მსგავსი პრობლემა შინაც ეგულვება.

ამერიკელებმა გაგვაცნეს ოჯახები, ვისთანაც უნდა გვეცხოვრა. დაგვირიგეს მომცრო ბარათები, ავტობუსით უფასო მგზავრობას უფლებას რომ გვანიჭებდა.

მეორეგზის საოცრება საქალაქო ტრანსპორტით დამოუკიდებლად მგზავრობა გახლდათ. აქ შეგნებულად არ ვიშველიებ ამ შედარებას, რადგან ჩვენში ჯანმრთელი ხალხის გადაყვანის პრობლემაც გადაუწყვეტელია.

მაოცებდა, რამდენად კარგად სცნობიათ ამერიკელებს ხეიბრები. ჯანმრთელსა და ინვალიდს შორის, სიმართლე გითხრათ, განსხვავებას ვერა ვხედავდი. ისიც კი მითხრეს: ჩვენი მიზანია, სიტყვა „ინვალიდი" არ არსებობდეს. მიაღწევენ კიდეც ამას, თუ უკვე არ აქვთ მიღწეული. რა არის ინვალიდი? — ადამიანი, ვისაც ფიზიკურმა ნაკლმა წაჰგვარა თავისუფალი ქმედების უნარი. ჩამოაშორეთ მას ეგ პრობლემატურობა ეს კი დიახაც შესაძლებელია და აღარც შეიზღუდება ადამიანური მისი არსება.

ამერიკული ქალაქის ქუჩებში „მსიარულეს" არ შემხვედრია ალაგი, კუთხე-კუნჭული, სადაც სხვის დაუხმარებლადაც არ შემეძლებოდა მისვლა. თეატრი, კინო, სპორტკომპლექსი, ინსტიტუტი, ბიბლიოთეკა, რადიო, ტელევიზია, ბარი, რესტორანი, დისკოტეკა და სად გინდა კიდევ... მიუყვები ქუჩებს და გაოცებს საგანგებოდ დაბალზე დაკიდული ტელეფონები, სასმელი წყლის შადრევნები მაღალი და მერმე დაბალი; მანქანის დასაყენებელი, საგანგებოდ განიერი ადგილები, ეტლზე გადმოსვლა რომ შეძლოს ხეიბარმა. ჯანმრთელ ადამიანს რაც არ უნდა გაუჭირდეს, იმ მონიშნულ ადგილას არ დააყენებს მანქანას. წარმოიდგინეთ, ტყეშიც კი ხეიბრებისათვის განკუთვნილი, მოასფალტებული ბილიკებია — ბილიკები უსინათლოთათვის — საგანგებო ფირნიშიანი ბროილის ანბანით გაწყობილი, რის საშუალებითაც უსინათლოებს ეცნობებათ იმ ადგილის ავანჩავანი. თითქოსდა რა უნდა იხილოს უსინათლომ ტყეში? მაგრამ დელეგაციაში მყოფი რამდენიმე წევრისაგან შევიტყვე, მათი შეგრძნება იმ წამს მაქსიმუმამდე აღემაღლებაო. თურმე ისიც სტიმულია, როცა ხედავ, როგორ ზრუნავენ შენზე თანამემამულენი. ზრუნავენ ინვალიდებზე ამერიკელები და ეს კიდეც ეამაყებათ!

როგორია ამერიკელების დამოკიდებულება ინვალიდებისადმი, ვთქვათ, რიგში. ბევრი გაიფიქრებს — რიგს რა უნდა ამერიკაშიო, დიახაც, არ არის — ერთი ადგილის გარდა. ყოველ შემთხვევაში მე ასე დავცადე — ესაა თავისუფლების ქანდაკება. იქ უამრავი ტურისტი ირევა. პოლიციელებს ჩვენი გამოჩენა არ გამორჩენიათ. მოგვიახლოვდნენ და თავაზიანად მოგვმართავს „არ გაბედოთ რიგში დადგომა"-ო. გაგვატარეს ჩვენც, ორი ინვალიდი, ორი თანმხლებით. ჩვენებურთა ემოციებს შეჩვეულთ, სიმართლე გითხრათ, გვეშინოდა, ვინმეს რაიმე არ ეთქვა და; უხერხულობაში არ ჩავეყენებინეთ, მაგრამ მსგავსი არაფერი მოგვისმენია. გამიკვირდა, როგორ შეეძლო სამი საათი 40 გრადუს სიცხეში გამოემეტებინათ ჩვენდამი ღიმილი, — გვიღიმოდნენ და თავაზიანად გვითმობდნენ გზას. ლიფტის მომსახურემ, როგორც კი დაგვლანდა, თითქმის გაჭედილი ლიფტი დაცალა და ჩვენ შეგვიპატიჟა. ამოდენა ხალხი დაჰყვა მას უსიტყვოდ. არც სპორტი და ინვალიდთა დასაქმება გამორჩენიათ ჩვენს მასპინძლებს. ხეიბრები სპორტის ყველა სახეობაში მონაწილეობენ თითქმის, ყველა პირობა აქვთ საამისოდ. სხვათა შორის, ერთ ცნობილ სპორტულ ფირმას რეკლამას უწევს ოლიმპიური ჩემპიონი ინვალიდებს შორის ეტლებით გადარბენაში.

ინვალიდები თამაშობენ კალათბურთს, სტყორცნიან ბადროს, მშვილდისარს; სპორტის მრავალ ისეთ სახეობაში მონაწილეობენ, წარმოუდგენლად რომ მოეჩვენებათ ჩვენებურთ: მთამსვლელობა ეტლებით, წყლის თხილამურებით სრიალი, მთიდან დაქანება თოვლის თხილამურებით, სწრაფდაშვება და სლალომი.

წყლის თხილამურებით მონიჭებული სიამოვნება მეც დავცადე საკუთარ თავზე და, დავრწმუნდი, ყოველივე გაცილებით იოლი რომ ყოფილა, ვიდრე მეგონა.

ხაზს გავუსვამდი კიდევ ერთ ფაქტს. ზემოთ ნახსენები თხილამურები მხოლოდ ინვალიდებისთვის როდია გათვალისწინებული. თავისუფლად შეიძლება გამოიყენოს იგი ყოველმა ადამიანმა და, იყენებენ კიდეც ისინი, ჩვეულებრივი თხილამურებით სრიალი რომ არ ძალუძთ, ასე რომ, ინვალიდები ჯანმრთელებს არ ემიჯნებიან. ერთთაც და მეორეთაც ძალუძთ ისარგებლონ ყველაფრით, რაც საერთოდ არსებობს. თუ გავითვალისწინებთ, რომ ინვალიდებისთვის არ არსებობს გადაადგილების პრობლემა, მაშინ უნდა ვთქვათ — მათ ძალუძთ ისწავლონ და იმუშაონ იქ, სადაც სურთ; რის საშუალებასაც იძლევა მათი განათლება და გონებრივი პოტენციალი. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შენობაც კი ითვალისწინებს ყოველივეს ხეიბართა ნორმალური მუშაობისათვის და ტრიბუნაზეც კი მოწყობილია ეტლის ასასვლელი.

ჩვენთან რა პირობებია, ყველას კარგად მოგეხსენებათ, ნუ დავაბრალებთ ყველაფერს იმპერიას და ცენტრს, მიზეზები ჩვენში ვეძებოთ და რაც შეგვიძლია, ვაკეთოთ. აქვე დავძენ, სხვათა შორის, მოსკოვმა მიიღო კანონი ინვალიდთა შესახებ, მაგრამ ჩვენთან მსგავსი კანონი ჯერაც არ შემუშავებულა. საჭიროა თავადაც მივიღოთ ხეიბართა კანონი, რათა ათასი ჯურის ბიუროკრატებს წაერთვას ხალისი პარპაშისა.

მრავალი რამ გვახილვა ამერიკამ. შეუძლებელია ერთი წერილით ამოსწურო ყოველი. ის მაინც გადმოგეცით, აუცილებელი და მთავარი გასაკეთებელი რაცაა. ვიმედოვნებთ სასიკეთო ცვლილებებს მომავალში.

გიორგი კოხრეიძე

# ენრიკო კარუზო და დალაქი ალფრედო



სიმღერა გარკვეულწილად სპორტის კუთვნილებაა. ერთი იმიტომ, რომ ხმაც ისეთივე ჯილდოა ადამიანისათვის ბოძებული, როგორც ჯანი და სისხარტე; მეორეს მხრივ კი იმ მიზეზით რომ ხმაც ისევე, როგორც ღონე, ან სხეულის სხვა ფიზიკური თვისება, საჭიროებს და ექვემდებარება კიდეც წვრთნას. ამიტომაც ჩვენს გაზეთში ადგილს დავუთმობთ ვოკალურ ხელოვნებასაც.

ამჯერად მოგითხრობთ ერთი იუმორისტული შემთხვევის შესახებ, რომელიც ეხება ვოკალის დიდოსტატს ენრიკო კარუზოს.

იტალიის ქალაქ რიმინიში ყოფნისას დიდი კარუზო დაბინავდა ვილა ბიანკინი-კაპელაში. მსახიობს დასჭირდა დალაქი, რომელიც ყოველდღე ივლიდა მასთან, გაპარსავდა პირს და გაკრეჭდა თმას. აღმოჩნდა ასეთი კაციც, სახელად ალფრედო კემპი. იგი ცხოვრობდა 300 მეტრის დაშორებით ვილადან, მაგრამ კარუზოსთან მოსვლას მაინც აგვიანებდა. მაშინ მომღერალმა ასეთ ხერხს მიმართა: გააღებდა ფანჯარას, მიადგებოდა რაფას და საოცარი ძალით შეიძახებდა. დალაქს ჩაესმოდა თუ არა ეს ხმა, მყის გაჩნდებოდა თავის ექსტრავაგანტურ კლიენტთან.

ერთხელ კარუზომ ჰკითხა მას:

— კარგად გესმის ჩემი ხმა, ალფრედო?

— მე კი არა, მთელი კვარტალი ფეხზე დგება თქვენს დაძახილზე, სინიორ ენრიკო! — მიუგო დალაქმა.

— კეთილი და პატიოსანი, თორემ ვაპირებდი უფრო ხმა მაღლა მეყივლაო, — ღიმილით შეესიტყვა კარუზო.

# გარინჩას ოინი

1962 წელს რიო-დე-ჟანეიროში გამართულ ჩემპიონატში „ბოტაფოგომ" დაამარცხა „ამერიკა", ანგარიშით 3:0.

გარინჩამ იმ დღეს გადააჭარბა საკუთარ თავსაც. იგი ასრულებდა გასაოცარ ილეთებს, დამცველბს ქანცი გააცალა, მასზე მიჩენილ მეოთხე ნომერს კი როგორც იტყვიან ტარაბუა დაასხა. ეს დამცველი ერთავად ბალახზე გორავდა. დამსწრენი თავშეუკავებლად ხარხარებდნენ. დაბოლოს ამ ფეხბურთელმა ველარ აიტანა ხალხის ქილიკი და როცა გარინჩამ, რამ სასწაულებრივი ილეთით კიდევ ერთხელ გააშოტა იგი მინდორზე, წამოდგა და მსაჯისაკენ წაძუნძულდა.

— ეტყობა ჯადო აქვს ფეხებში. მოტყუებას ვინლა დაეძებს, მასხარად მიგდებს, პამპულად მაქცია, — შესჩივლა მან მსაჯს.

მსაჯმა ის დაამშვიდა და დაპირდა, თუკი „ბოტაფაგოს" თავდამსხმელი კვლავ განაგრძობს შენს დაცინვას, მე მას მოედნიდან გავაძევებო, და ეს გადაწყვეტილება ხმამაღლა ამცნო გარინჩას.

ამ უკანასკნელმა რა მოისმინა ასეთი გაფრთხილება, მიირბინა მწვრთნელთან და სთხოვა შემცვალეო.



გარინჩა მართლაც გამოცვალეს და მან დააპირა მოედნიდან გასვლა. უეცრივ ვილაცამ ბურთი მიაწოდა. გარინჩა ბურთიანად მოწყდა ადგილიდან, თავისი მცველი მოძებნა, თავბრუდამხვევი ილეთი შეასრულა, ერთხელ კიდევააყირავა გაოგნებული მოწინეელმდეგე და ხალხის ხარხარში მიიმალა გასახდელისკენ მიმავალ გვირაბში.

რუბრიკა მოამზადა სულორელმა

მთავარი რედაქტორი ედიშერ გიორგაძე
სარედაქციო კოლეგია: შალვა ქირია (რედაქტორის მოადგილე), გიორგი ძნელაძე, თენგიზ გაჩეჩილაძე, დავით მარტიროსოვი (პასუხისმგებელი მდივანი), ავთანდილ ციბაძე, გივი კარტოზია, დავით კვაჭაძე, გივი გამრეკელი, დავით ქავთარაძე, შოთა ინწკირველი, ბესიკ ადეიშვილი, კარლო ცხადაია, ლაშა ლუღუშაური, აკაკი ხიზარულიძე, ჯანსულ დემეტრაძე, გიორგი ნიჟარაძე.

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა კომპიუტერით ქსს გამოთვლით ცენტრში, ტელეფონი 35-26-44

გაზეთი იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში თბილისი, ხოშარაულის ქ. 29

ჩვენი მისამართია: 380007 ი. მაჩაბლის ქუჩა № 11. ტელეფონები: 93-28-92, 98-13-73, 93-98-75.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# თანამედროვე ოლიმპიადები— პირველიდან ოცდამეხუთემდე

## ამერიკული ვესტერნი ამსტერდამში

1912 წლიდან მოყოლებული ჰოლანდია დიდი სიყვარულითა და სიჯიუტით ელოლიავებოდა ოლიმპიადების ჩატარების იდეას, მაგრამ ხან ომის გამო, ხან კი იმიტომ, რომ ვერაფერი გააწყო უფრო ძლიერ კონკურენტებთან, ვერ იქნა და ვერ მიაღწია საწადელს. პირველი მსოფლიო ომის შემდგომ წლებში ამ ქვეყნის პრეტენზიებს აკლდა სიმტკიცე და დამაჯერებლობა. აი მეცხრე ოლიმპიადის წინ კი სოკ-მა მხოლოდ ერთი განაცხადი მიიღო — ისევ ჰოლანდიიდან და, ცხადია, ბრძოლა აღარც ყოფილა.

IX ოლიმპიური თამაშები ჩატარდა 1928 წლის 17 მაის-12 აგვისტოს ნიდერლანდების უდიდეს ქალაქ ამსტერდამში. შეჯიბრებაში მონაწილეობა მიიღო 46 ქვეყნის 3014-მა სპორტსმენმა, მათ შორის 290-მა ქალმა. ამსტერდამის ოლიმპიადის პროგრამაში პირველ შეიტანეს მძლეოსან ქალთა ტურნირი ხუთ სახეობაში (რბენა 100 და 800 მ. ესტაფეტა 4X100 მ. ხტომა სიმაღლეზე და ბადროს ტყორცნა). ცხადია აქ გამარჯვებულთა შედეგები დამტკიცდა როგორც ოლიმპიური და მსოფლიო რეკორდები.



მარათონულ რბენაში გამარჯვებული ალჟირელი მოჰამედ ელ უაფი, რომელიც საფრანგეთის დელეგაციის ღირსებას იცავდა.

ქალთა შორის პირველი ოლიმპიური ჩემპიონების გვარები მძლეოსნობის ისტორიაში ოქროს ასოებითაა ჩაწერილი. აი ისინიც: 100 მ. ელიზაბეტ რობინსონი (აშშ) — 12,2; 800 მ. ლინა რადკე (გერმანია) — 2.16,8; ესტაფეტა 4X100 მ. კანადის გუნდი (ფანი როზენფელდი, ეტელ სმითი, ჯენი ტომპსონი და მერტელ კუკი) — 48,4; სიმაღლეზე ხტომა, ეტელ კეტერვუდი (კანადა) — 1 მ. 59 სმ, ბადროს ტყორცნა. ჰალინა კონოპაცკაია (პოლონეთი) — 39 მ. 62 სმ.

ამსტერდამში, ისევე როგორც პარიზში, ყველაზე ბევრი ჯილდო ამერიკელმა სპორტსმენებმა დაისაკუთრეს, მაგრამ ცალკეულ სახეობებში ისინი შეუპოვარ წინააღმდეგობას წააწყდნენ ინგლისის, სკანდინავიის ქვეყნების, საფრანგეთისა და, პირველ რიგში, გერმანიის წარმომადგენელთაგან, რომლებიც მთელი 16 წლის მანძილზე იზოლირებული იყვნენ საერთაშორისო ოლიმპიური მოძრაობიდან.

ამერიკელებს, რა დასამალია და უყვართ ეფექტი, განსაკუთრებით მაშინ, როცა ამ ეფექტს, ყველაფერთან ერთად სარეკლამო მნიშვნელობაც აქვს და ხაზს უსვამს რაიმე საგანგებო მოვლენას ერის ცხოვრებაში. შეერთებული შტატები მაშინ ერთ-ერთი მოწინავე (თუ პირველი არა) ქვეყანა იყო სპორტის დარგში და ამსტერდამს, მისი გუნდები, გარკვეული გეგმებით მიიჩქაროდნენ. თავის სიძლიერეში ღრმად დაჯერებულნი შთაბეჭდილების გაძლიერების მიზნით ოლიმპიადის დედაქალაქს ისინი, ყველასგან განსხვავებით დიდი საოკეანო გემით მიადგნენ.

ხანგრძლივმა საზღვაო ოდისეამ მსოფლიოს ეკონომიკური კრიზისის წინა დღეს გარკვეული ეფექტი მოახდინა გალატაკებული ევროპის თვალში. საოკეანო გემი ხაზს უსვამდა ამერიკელთა არა მარტო სპორტულ, არამედ ეკონომიკურ სიძლიერეს. და რა გასაკვირია, რომ ამსტერდამის საზღვაო პორტს უჩვეულო სანახაობის მოყვარული ხალხის ნაკადი მოაწყდა.

ზარ-ზეიმით ჩამოსულთა დასახვედრად თადარიგი ჯერ არც კი იყო დაწყებული, რომ გემის ქიმს მოსწყდა ადამიანი, ლამაზი ნახტომით ზღვაში გადაეშვა და მცირე ხნით გაუჩინარდა. ეფექტი მართლაც დიდი იყო — ამერიკული ვესტერნის სტილში, ხალხი ინტერესით გაჰყურებდა წყლის სივრცეს და ნაპირისაკენ მცურავ ცოცხალ დრედნოუტს. უეცრად გაისმა დიქტორის მჟახე ხმა:

— ძვირფასო ამსტერდამელებო! ორიოდ წუთში თქვენს წინაშე წარსდგება ლეგენდარული მოცურავე, ჯონი ვეისმიულერი. ოლიმპიური ჩემპიონი გულითადად მოგესალმებათ თქვენ ჰოლანდიის მადლიან მიწაზე.



ჯონი ვეისმიულერი ამსტერდამის პლაჟზე.

სანახაობა მართლაც ზღაპრული იყო: ხალხით გაჭედილი პორტი, საოკეანო ლაინერი, რომელმაც ღუზა ჩაუშვა იქვე, ნაპირთან, გემბანზე შეკრებილი მთელი დელეგაცია და წყლიდან ამოსული ჯონი ვეისმიულერი, რომელიც ღიმილით წარმოთქვამდა მისალმების სიტყვებს —იმ დღიდან მოყოლებული, პარიზის ოლიმპიადის ტრიუმფატორი ყველაზე პოპულარული სპორტსმენი გახდა ამსტერდამში.

ვეისმიულერმა მეცხრე ოლიმპიადაზე მხოლოდ ორჯერ აიღო სტარტი, მაგრამ თავისი პოპულარობის გასამტკიცებლად ისიც საკმარისი იყო, რომ ორივე შემთხვევაში ოქროს მედალი დაიმსახურა.

ამსტერდამში ძალოსანთა შორის ჩემპიონის გამოვლენისას პირველად გაითვალისწინეს კლასიკური სამჭიდის (აჭიმვა, აკვრა, ატაცი) შედეგები.

ყველაზე ბევრი ჯილდო აშშ-ის სპორტსმენებმა მოიპოვეს. თანაც არ დაგავიწყდეთ, რომ ჩასათვლელი ქულები მათ სპორტის 17 სახეობიდან მხოლოდ რვაში მიიღეს. მეორე ადგილი ოლიმპიადის არაოფიციალურ ჩათვლაში გერმანიას ხვდა.



თამაშების საზეიმო გახსნის ცერემონიალი ამსტერდამის სტადიონზე.

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის კონგრესმა ამსტერდამში მიიღო ერთი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება, რომელიც ოდნავი შესწორებით დღემდე ძალაშია. ოლიმპიური თამაშების წელს არ ჩატარდეს მსოფლიო ჩემპიონატები. და კიდევ ერთი სიახლე, უფრო სწორად, ტრადიცია, რომელსაც საფუძველი ამსტერდამში ჩაეყარა: ოლიმპიაში დანთებული ცეცხლი მთელი თამაშების განმავლობაში ენთო სტადიონზე. ხოლო ჩირაღდანი საბერძნეთიდან იუგოსლავიის, ავსტრიის და გერმანიის გავლით ამსტერდამში მორბენალთა მრავალათასიანმა ესტაფეტამ მიიტანა.

დაბოლოს რამდენიმე სიტყვა მედლებისა და არაოფიციალურ გუნდურ ჩათვლაზე:

| | ო. | ვ. | ბ. |
|---|---|---|---|
| აშშ | 22 | 18 | 16 |
| გერმანია | 10 | 7 | 14 |
| შვეცია | 7 | 6 | 12 |
| საფრანგეთი | 6 | 10 | 5 |
| ფინეთი | 8 | 8 | 9 |
| იტალია | 7 | 5 | 7 |

უეფა-ს თასი. ფინალი.

# იმარჯვებს „რომა", ზეიმობს „ინტერი"

**რომში.** უეფა-ს თასის მეორე ფინალურ მატჩში დამარცხების მიუხედავად, მილანის „ინტერმა" მოიპოვა ეს საპატიო ჯილდო. შეგახსენებთ, რომ „ინტერმა" ორი კვირის წინ შინ ანგარიშით 2:0 დაამარცხა მეტოქე — მეორე იტალიური გუნდი „რომა", რომელმაც შეძლო რევანშის აღება, მაგრამ მხოლოდ ანგარიშით 1:0.

განმეორებითი შეხვედრის წინ ორივე გუნდის მწვრთნელები ერთნაირი პრობლემის წინაშე აღმოჩნდნენ: ორ-ორი გაფრთხილების გამო მატჩი უნდა გამოეტოვათ სერენას („ინტერი"), კომის და კარბონის („რომა"), თუმცა დისკვალიფიკაციის შემდეგ „რომას" შემადგენლობაში დაბრუნდა გამოცდილი ნახევარმცველი დესიდერი. პირველი შეხვედრის შედეგმა მასპინძლები იძულებული გახადა შეტევაზე ეფიქრათ. „რომას" ფეხბურთელებს ცდა არ დაუკლიათ წარმატების მისაღწევად, მაგრამ ერთადერთი ბურთის გატანა მათ მხოლოდ შეხვედრის დამთავრებამდე ცხრა წუთით ადრე შეძლეს (გოლი გაიტანა რიციტელიმ). დარჩენილ დროში მეკარე ძენგა და „ინტერის" მცველები: ბერგომი, ფერი, ბრემე თავდაუზოგავად იგერიებდნენ რომაელთა შეტევებს. არ იფიქროთ, რომ მილანელები მხოლოდ დაცვაზე ზრუნავდნენ — მათ ფორვარდებსაც შეეძლოთ ანგარიშის გახსნა. საერთოდ კი, გუნდებმა ძალისმიერად, უკომპრომისოდ ითამაშეს. უნდა ითქვას, რომ ამ დღეს ბედი სწყალობდა და კარგადაც ითამაშა მეკარე ძენგამ. როგორ არ ეცადნენ „რომას" მოთამაშეები: ფოილერი, რიციტელი, ჯანინი, მაგრამ მეორე ბურთის გატანა ვერ შეძლეს. ფინალის ორ შეხვედრაში „ინტერის" შემადგენლობაში იასპარეზეს: ძენგამ, ბერგომიმ, ბრემემ, ბატისტინიმ, ფერიმ, პაგანინიმ, ბარეზიმ, ბიანკიმ, ბერტიმ, კლინსმანმა, მათეუსმა, სერენამ, პიციმ, მანდორლინიმ, რომლებიც უეფა-ს თასის მფლობელები გახდნენ.

ზედიზედ მესამე წელია, უეფა-ს თასს იტალიური კლუბები ეუფლებიან. 1989 წელს იმარჯვა „ნაპოლიმ", შარშან — „იუვენტუსმა", ამჯერად კი, გუნდის ისტორიაში პირველად უეფა-ს თასი „ინტერმა" დაისაკუთრა. მილანის ამ კლუბმა 26 წლის შემდეგ შეძლო მოეპოვებინა ევროპის ერთ-ერთი თასი. 1964-1965 წლებში „ინტერმა" მოიგო ევროპის ჩემპიონთა თასი. შემდგომ წლებში მას არაერთხელ მიუღწევია ევროტურნირების ნახევარფინალამდე და ფინალამდე, მაგრამ, როგორც ამბობენ, ბედი არ სწყალობდა. და აი, ბოლოს და ბოლოს, „ინტერმა" თავისი გაიტანა.

„ინტერის" ამჟამინდელი მწვრთნელი ჯოვანი ტრაპატონი უკვე ხელმძღვანელობდა ევროპის საკლუბო ტურნირებში გამარჯვებულ კლუბს — „იუვენტუსს". მილანელთა ახლანდელმა წარმატებამ კიდევ ერთხელ დაამტკიცა ტრაპატონის სიძლიერე. შემთხვევითი არ იყო, რომ „იუვენტუსის" პრეზიდენტმა ანიელიმ მას ტურინში დაბრუნება შესთავაზა. რას გადაწყვეტს მწვრთნელი, ჯერ არ არის ცნობილი, მაგრამ რომელი კლუბიც არ უნდა ამოირჩიოს, „იუვენტუსიც" და „ინტერიც" ახალი სეზონიდან უეფა-ს თასისათვის იბრძოლებენ.






სურათებზე: წამიც და. რიციტელი გოლს გაიტანს „ინტერის" კარში (მარცხნივ): მილანელთა ერთ-ერთი იშვიათი კონტრიერიში „რომას" კართან.

ტელეეკრანიდან გადაღებული ფოტოები მოგვაწოდა მერაბ რატიშვილმა.

## ევროპის ჩემპიონატი

ოთხშაბათს გაიმართა ევროპის საფეხბურთო ჩემპიონატის ორი შესარჩევი შეხვედრა.

**II ჯგუფი.** სან-მარინოს ფეხბურთელებმა უმასპინძლეს ბულგარეთის ნაკრებს და კვლავ მარცხი იწვნიეს ანგარიშით 0:3. მე-12 წუთზე პირველი ბურთი გაიტანა ზლატკო ივანოვმა, შემდეგ ნასკო სიროკოვმა და ლიუბოსლავ პენევმა კიდევ ორჯერ აიღეს მეტოქის კარი.

ბათამაშების ცხრილი:

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| შოტლანდია | 5 | 3 | 2 | 0 | 8-4 | 8 |
| შვეიცარია | 5 | 3 | 1 | 1 | 10-4 | 7 |
| ბულგარეთი | 6 | 2 | 2 | 2 | 10-7 | 6 |
| რუმინეთი | 5 | 2 | 1 | 2 | 10-6 | 5 |
| სან-მარინო | 5 | 0 | 0 | 5 | 1-18 | 0 |

**IV ჯგუფი.** ავსტრიელმა ფეხბურთელებმა ზალცბურგში რევანში აიღეს პირველ წრეში ფარერის კუნძულების ნაკრებთან მარცხისა[illegible] (0-1) და 3 „მშრალი" ბურთი [illegible] სტუმრების კარში. ალსანიშნავია, რომ ავსტრიის გუნდში 8 დებიუტანტი გამოდიოდა. მასპინძელთაგან თავი გამოიჩინეს ჰეიმ პფაიფენბერგერმა, მიქაელ შტრაიტერმა და არნოლდ ვეტლმა.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იუგოსლავია | 6 | 5 | 0 | 1 | 20-4 | 10 |
| დანია | 4 | 2 | 1 | 1 | 7-5 | 5 |
| ავსტრია | 4 | 1 | 1 | 2 | 4-5 | 3 |
| ჩრ. ირლანდია | 5 | 0 | 3 | 2 | 3-8 | 3 |
| ფარერის კ-ბი | 5 | 1 | 1 | 3 | 3-15 | 3 |



ეროვნული ლიგა. V ტური.

## საქართველოს ჩემპიონატი რაგბიში

თბილისი. აგრარული უნივერსიტეტის სტადიონი.

**„შევარდენი" (თბილისი) — „ვესტა" (თბილისი) 3:70 (3:28).**

„შევარდენი": ფარცვანია, ბ. იურინი, ჯანელიძე, გოგია დვალი, მოდებაძე, ცირეკიძე (ჩარჩანიძე), ჩიქავა, კუსრაშვილი, თავზარაშვილი (აბულედიანი), ტყეშელაშვილი (ცალაძე), პარწიკანაშვილი, მჭედლიშვილი, ხორდია, კაპანაძე.

„ვესტა": ა. ხვედელიძე, ნ. ხვედელიძე (ჩავლეიშვილი), მარჯანიშვილი, ბესელია, იოვაძე (ვაშაძე), თავაძე, ქერაული, ბაკურაძე ჯაფარაშვილი, კ. გიუნაშვილი, ნარიმანიძე, რაფავა (ლიბრაძე), ლუდუშაური, გ. გიუნაშვილი, ვართანიანი.

მსაჯი: მალხაზ კოროშინაძე (თბილისი).

ესპანეთიდან ახლადაბრუნებულმა „შევარდენმა", რომელმაც იქ გამართულ საერთაშორისო ტურნირში პირველი ადგილი დაიკავა, ჩამოსვლისთანავე ხუთ დღეში ორი მძიმე მატჩი გამართა ჩემპიონატის ლიდერებთან. გასულ ოთხშაბათს გუნდი ქუთაისში დამარცხდა „აიასთან" — 0:30, ამჯერად კი თბილისის „ვესტას" მასპინძლობდა.

„ვესტასა" და ეროვნული ნაკრების წევრის მერაბ მარჯანიშვილის ოსტატობის წყალობით, რომელიც დასაწყისშივე ჩვეულ სტილში, ფინტებით გაექცა მეტოქეებს და სამი ლელო გაიტანა (რომელთაგან ერთი გარდასახა კიდეც), „ვესტამ" გამარჯვება გაინაღდა, თუმცა, ამას არ დასჯერდა და პირველ ნახევარში თავაძემ, ნარიმანიძემ და ჯაფარაშვილმა თითოჯერ მიაღწიეს მიზანს. ერთი გარდასახვა იოვაძემ გამოიყენა.

„შევარდენმა" მოდებაძის საჯარიმოთი უპასუხა „ვესტას" და მიუხედავად თავგანწირული თამაშისა, მეტს ვერაფერს გახდა.

შესვენების შემდეგ „ვესტა" მთლიანად გალაღდა. მისი წევრები ბურთს ხელში ჩაიგდებდნენ თუ არა, მყისვე კოლექტიურად უტევდნენ და თითქმის ყველა შეტევას ლელოთი ასრულებდნენ. ორჯერ ალექსანდრე ხვედელიძემ და ჩავლეიშვილმა, თითოჯერ ნარიმანიძემ, მარჯანიშვილმა, ბესელიამ და ჯაფარაშვილმა დაამიწეს ბურთი. ოთხი ლელო გარდასახა ჩავლეიშვილმა, ერთი — ლუდუშაურმა. ასეთი ანგარიშით გამარჯვებით „ვესტამ" ამ სეზონში შედეგიანობის ყველა რეკორდი მოხსნა.

თბილისი. 26 მაისის სახელობის სტადიონი.

**„მიმინო" (თბილისი) — „აია" (ქუთაისი) 6:28 (3:9).**

„მიმინო": გეგეჭკორი, მაისურაძე, ზ. ალანია, კ. ალანია, ბრაგვაძე, ძნელაძე, ნატროშვილი, აბრამიშვილი (პატარაია), ნიკურაძე, ძიძაძე, ხულხანიშვილი (ფერაძე), დევდარიანი, ხვანიძე, ზოიძე, მგელაძე.

„აია": ე. ძაგნიძე (ყორყოლიანი), ხამაშურიძე, გეგუჩიძე, გაბრიჩიძე, ტყაბლაძე, ნ. ძაგნიძე, იობიძე (კიკაჩეიშვილი), ფირცხალავა, ტურძელაძე, ბაბუნაშვილი, ფხაკაძე, გიორგობიანი, ოდიშარია, ჭიქაბერიძე (ბარდაველიძე), ლიპარტელიანი.

მსაჯი: გოჩა აბაშიძე (თბილისი).

სხვადასხვა მიზეზთა გამო, წლევანდელ ჩემპიონატში „აიას" თბილისში მატჩი არ გაუმართავს და გულშემატკივრებიც დანატრებულნი გახლდნენ მისი თამაშის ხილვას. „აიამ" იმედი არ გაუცრუა სტადიონზე მისულ არცთუ ცოტა მაყურებელს (რაგბის პირობაზე, რა თქმა უნდა) და ჩინებული რაგბი გვიჩვენა. ამაში მას „მიმინოც" დაეხმარა, რომელიც ტაიმ-ნახევრის მანძილზე, როგორც სწორს, ისე ეთამაშა შარშანდელ ჩემპიონს.

ანგარიში მატჩის პირველსავე წუთებზე გაიხსნა, როცა ქუთაისელთა სამმეოთხედელებმა მიმართულება შეუცვალეს მარაოს, ჩართეს მასში ლიპარტელიანი, რომელმაც ლელო გაიტანა. გარდასახვა ზუსტად შეასრულა ნუგზარ ძაგნიძემ.

მალე ძნელაძემ საჯარიმოთი შეამცირა ანგარიშში სხვაობა. მისმა თანაგუნდელებმა კი ფიცხელი ბრძოლა გაუმართეს მეტოქეს და არც შერკინებასა და არც უკანა ხაზში არ დაუთმიათ ინიციატივა, იმდენიც მოახერხეს, რომ ნატროშვილს ლელო გაატანინეს. მაგრამ, როგორც გაირკვა, ნატროშვილმა ბოლო მომენტში გვერდით ხაზს გადააბიჯა და მსაჯმაც, ცხადია, არ ჩათვალა, ეს ლელო.

ამასობაში ნ. ძაგნიძემ საჯარიმო გაიტანა და იგივე გაიმეორა მეორე ნახევრის შუაწელში. უკანასკნელი საჯარიმოს შეგდებისთანავე, ერთ-ერთი ქუთაისელი მორაგბე მსაჯს შეეკამათა, რის გამოც. დაჯარიმდა და ძნელაძემ არ გაუშვა ხელიდან „თავისი შანსი". მაგრამ ეს „მიმინოს" „ბოლო გაბრძოლება" იყო: ნუგზარ ძაგნიძემ რამდენიმე წუთში ზედიზედ ორი დიდებული აროკნი გაიტანა, ხოლო ბაბუნაშვილმა და ოდიშარიამ მოლებიდან შეტევით ლელოები გაუტანეს უკვე ძალაგამოცლილ მეტოქეს. ერთი გარდასახვა გამოიყენა ხამაშურიძემ.

• • •

ქუთაისის „გელათმა" უმასპინძლა თბილისის „რაშს" და გაიმარჯვა — 31:4.

### პირველი ლიგა

**ამერის ქველიგა**

ფიზკულტურის ინსტიტუტი-„მარიხი" — „უნივერსიტეტი" 7:0.

„ივერია" (თბილისი) — სამედიცინო ინსტიტუტი-„თბილისი" 17:4.

„რუსთავი-1990" — „აკადემია-2" (თბილისი) 48:6.

**იმერის ქველიგა**

„სათაფლია" (წყალტუბო) — „ჯანი" (ჩოხატაური) 14:6.

**გათამაშების ცხრილი**

### ეროვნული ლიგა

**მდგომარეობა 24 მაისისთვის**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|
| „აია" | 4 | 4 | 0 | 0 | 16 |
| „გელათი" | 5 | 3 | 1 | 1 | 15 |
| „ვესტა" | 4 | 3 | 0 | 1 | 12 |
| „მიმინო" | 4 | 1 | 1 | 2 | 8 |
| „შევარდენი" | 3 | 1 | 0 | 2 | 6 |
| „ყოჩები" | 4 | 0 | 2 | 2 | 6 |
| „რაში" | 3 | 1 | 0 | 2 | 6 |
| „იმერეთი" | 2 | 1 | 0 | 1 | 5 |
| „აკადემია" | 4 | 0 | 0 | 4 | 4 |





# ზიკო წავიდა, ფალკაო დარჩა

გახუნდა ბრაზილიური ფეხბურთის ოდინდელი ბრწყინვალება: დაიხურა „მარაკანა", „ვარსკვლავები" სხვადასხვა ქვეყნებში მიმოიფანტნენ, ცნობილი კლუბები: „ფლამენგო", „სანტოსი", „ბოტოფოგო", და „ფლუმინენსე" ფინანსურ სიძნელეებს განიცდიან. ამ ბოლო ხუთი მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ ფიფა-ს ოქროს თასი გერმანიის, არგენტინის, იტალიის ნაკრებთა კაპიტნებს — ბექენბაუერს, პასარელას, ძოფს, მარადონას, მათეუსს გადაეცათ.

შარშანდელი იტალიის მსოფლიო ჩემპიონატში ბრაზილიელმა მოთამაშეებმა კვლავ ვერაფრით დაგვამახსოვრეს თავი, რითაც „დიდად დაეხმარნენ" თავიანთი ქვეყნის ფეხბურთის ხელმძღვანელებს სამსახურის დატოვებაში. გულშემატკივართა მოთმინების ფიალა აივსო. ფეხბურთელებს ნახევრადცარიელი ტრიბუნების წინაშე უწევთ გამოსვლა. ქალაქ სან-პაულოს ერთ-ერთი გაზეთის მიერ მოწყობილი გამოკითხვის შედეგად გაირკვა, რომ აქაურ სპორტის მოყვარულებს მსოფლიოში სახელგანთქმული ავტომრბოლების აირტონ სენასა და ნელსონ პიკეს მიღწევები უფრო აღელვებდათ. ამის წარმოდგენა კი შეუძლებელი იყო პელეს, გარინჩას, გერსონის დროს...

შარშან „ტორსიდას" იმედი მიეცა — იქნებ დაგვიბრუნდეს ბრაზილიური ფეხბურთის „ოქროს ხანაო". რამ დააიმედა ბრაზილიელები? — სპორტის მინისტრად დაინიშნა სახელგანთქმული ფეხბურთელი ზიკო, რომელმაც განაცხადა, რომ განახორციელებდა „საფეხბურთო რეფორმებს". — მოაწესრიგებდა შეჯიბრებების კალენდარს, განამტკიცებდა, კლუბებისა და მოთამაშეების ფინანსურ მდგომარეობას, რათა აღეკვეთა ბრაზილიელთა „მიგრაცია" ევროპაში და ა.შ. თითქმის იმავდროულად ქვეყნის ნაკრებს სათავეში ჩაუყენეს ასევე ცნობილი მოთამაშე რობერტო ფალკაო, რომელმაც დანიშვნისთანავე უარი თქვა უცხოეთში მოთამაშე ბრაზილიელი ფეხბურთელების გუნდში მიწვევაზე. ასე მოევლინა მშველელად ბრაზილიურ ფეხბურთს ეს ორი უიღბლო. რატომ უიღბლო? — როგორც მოქმედი ფეხბურთელები ზიკოც და ფალკაოც მაყურებელს დაამახსოვრდა ბრწყინვალე თამაშით, განსაკუთრებით 1982 წლის მსოფლიო ჩემპიონატში, თუმცა მაშინ ბრაზილიელებს იტალიელებმა აჯობეს. 1986 წელს ორივე ბევრს ეცადა დაებრუნებინათ ქვეყნისათვის მსოფლიო ჩემპიონის ტიტული, მაგრამ სწორედ ზიკომ ვერ გაიტანა პენალტი ფრანგებთან მეოთხედფინალურ მატჩში. ზიკომ 1978 წლის ჩემპიონატშიც მიიღო მონაწილეობა, მაგრამ მაშინ, გახსოვთ ალბათ, არგენტინელთა სენსაციურმა გამარჯვებამ პერუელებთან 6:0 — ბრაზილიელებს გზა გადაუჭრა ფინალისაკენ.

ბრაზილიელ გულშემატკივრებს დიდი იმედი ჰქონდათ, რომ ახალ ამპლუაში ზიკო და ფალკაო შეძლებდნენ იმის განხორციელებას, რაც ვერ შეძლეს როგორც ფეხბურთელებმა. მაგრამ ზიკოს რეფორმებს წინ აღუდგნენ კლუბების პრეზიდენტები, რომლებიც უფრო გავლენიანნი აღმოჩნდნენ, ვიდრე სპორტის მინისტრი.

ამ დღეებში ზიკომ დატოვა დაკავებული თანამდებობა და გადაწყვიტა დაუბრუნდეს ფეხბურთს, მისთვის გაცილებით ნაცნობ ამპლუას. როგორც მოთამაშემ, ხელშეკრულება გააფორმა იაპონიის კლუბ „სუმიტომოსთან".

არ უმართლებს ფალკაოსაც. ბოლო ოთხ შეხვედრაში ბრაზილიის ნაკრებმა ბურთიც ვერ გაიტანა მეტოქეთა კარში და მწვრთნელს კრიტიკის ქარ-ცეცხლი დაატყდა. წელს, ზაფხულში, გაიმართება სამხრეთ ამერიკის ჩემპიონატი, რომლის შედეგებითაც შეფასდება ფალკაოს მუშაობა. იგი დათანხმდა ნაკრებში დააბრუნოს საზღვარგარეთ მოთამაშე ორი „ვარსკვლავი" — კარეკა და ალემაო. შეძლებს კი ეს გამოცდილი ფეხბურთელი — 1986 წლის მექსიკის მსოფლიო ჩემპიონატში ფალკაოს პარტნიორები — ახალგაზრდა თანაგუნდელების დახმარებით შეუნარჩუნონ ნაკრების ხელმძღვანელს თანამდებობა?

**ზურაბ ტაბატაძე**

**სურათებზე:** ზიკო (მარცხნივ) და ფალკაო.

## რა ისმის უცხოეთიდან?

# „პორტლენდმა" გაათანაბრა ანგარიში



გაიმართა ნბა-ს (კალათბურთის ეროვნული ასოციაცია) ჩემპიონატის ნახევარფინალური სერიების მორიგი მატჩები.

**„ჩიკაგო ბულსი" — „დეტროიტ პისტონსი" 2:0.**

ამ გუნდების პირველი ნახევარფინალური შეხვედრა, როგორც ვიუწყებოდით, მოიგო „ჩიკაგომ" 11 ქულის სხვაობით (94:83). მეორე შეხვედრაც დაახლოებით იმავე სცენარით წარიმართა. ჩიკაგოელთა მთავარი კოზირი, მოგეხსენებათ, მკაცრი პრესინგია მთელს მოედანზე, თანაც პირველიდან ბოლო წუთამდე. ასეთ დატვირთვას მაიკლ ჯორდანის გუნდი უძლებს და ეს არის მისი წარმატების მთავარი პირობა.

„ჩიკაგოს" ჰყავს ლიდერთა მთელი ჯგუფი, რომელიც ყოველ მატჩში „სათანადო" ამინდს ქმნის. ამ ჯგუფს თავკაცობს მაიკლ ჯორდანი, მაგრამ მას მტკიცე კონტაქტი აქვს სკოტ პიპენთან, ჰორაცი გრანტთან და ბილ ლეიმბირთან. განსაკუთრებით ეფექტურად ასრულებს შავ სამუშაოს ლეიმბირი, რომელსაც ორივე ფარის მეურვეობა ევალება. მოკლედ, „ჩიკაგომ" მეორე შეხვედრაც მოიგო ანგარიშით 105:97.

ერთი რამ უსათუოდ უნდა აღინიშნოს: ნბა-ს შარშანდელ ჩემპიონს — „დეტროიტს" გარკვეულწილად უჭირს იმიტომ, რომ მთელი ძალით ვერ თამაშობს მისი ლიდერი აიზია თომასი. პროფესიული კალათბურთის ამ „სუპერვარსკვლავმა" ბოლომდე ვერ მოიშუშა ტრავმა.

**„ლოს-ანჯელეს ლეიკერსი" — „პორტლენდ ტრეილ ბლეიზერსი" 1:1.**

[illegible] მატჩი „ლეიკერსმა" მეტოქის მოედანზე მოიგო — 111:106. თუმცა, უნდა ითქვას, რომ გამარჯვების მეტი შანსი მასპინძლებს ჰქონდათ. ყოველ შემთხვევაში, მეოთხე პერიოდის დაწყების წინ „პორტლენდი" წინ იყო 12 ქულით (92:80) და მატჩის შედეგი თითქოს ეჭვს არ იწვევდა. მაგრამ აი, იმ კრიტიკულ მომენტში „ლეიკერსის" მწვრთნელმა მოედანზე გამოუშვა მთავარი დამრტყმელი ძალა — მეჯიკ ჯონსონი, ბაირონ სკოტი და იუგოსლავიელი ვლადე დივაცი. ამ ტრიომ აქტიური და თავგანწირული თამაშით ჯერ გაათანაბრა ანგარიში, მერე კი თავის გუნდს გამარჯვება მოუტანა. მიმომხილველები განსაკუთრებით გამოჰყოფდნენ ვლადე დივაცის ეფექტურ თამაშს.

მეორე შეხვედრაში სასწაული აღარ მოხდა. „პორტლენდმა" თავისი უნივერსალური ლიდერის კლაიდ დრექსლერის ხელმძღვანელობით ბოლომდე შეინარჩუნა უპირატესობა და საკმაოდ დამაჯერებელი რევანშიც აიღო — 109:98.

**სურათზე:** მაიკლ ჯორდანი (მარცხნივ) უტევს მეტოქის კალათს.

## საღამოს ტელეტაიპი

**ნიუ-იორკი.** ჰოკეი. სტენლის თასის ფინალური სერია. „პიტსბურგ პინგვინზმა" გასვლითი მატჩი მოუგო „მინესოტა ნორდ სტარზს" — 5:3 და გაათანაბრა საერთო ანგარიში (2:2).

**დიუსელდორფი.** ჩოგბურთი. მსოფლიოს გუნდური თასი. პირველი წრე. ესპანეთი-სსრკ 2:1, შვეიცარია — გფრ 2:1, შვეცია — არგენტინა 2:1, იუგოსლავია — აშშ 2:1. მეორე წრე. სსრკ-არგენტინა 2:1, შვეცია-ესპანეთი 3:0.

**ოსლო.** მძლეოსნობა. საერთაშორისო შეჯიბრება. ნორვეგიელმა ტრინე სოლბერგმა შუბი 67,54 მეტრზე ტყორცნა. ეს წლევანდელ სეზონში მესამე შედეგია ქალთა შორის.

**ჟენევა.** ჩოგბურთელ ქალთა საერთაშორისო ტურნირი. მეორე წრე. კონჩიტა მარტინესი (ესპანეთი) — ლინდა ფერანდო (იტალია) 6:0,6:2, ჰელენ კელერი (კანადა) — კატრინ მოტე (საფრანგეთი) 7:5,6:3, მანუელა მალეევა (შვეიცარია) — კარინა ჰადსუდოვა (ჩეხოსლოვაკია) 6:1,2:6,6:1.

**დორტმუნდი.** კალათბურთელ ვაჟთა საერთაშორისო ტურნირი. პირველი ტური. იუგოსლავია-საფრანგეთი 81:55 (43:19), სსრკ-გერმანია 80:70 (30:25).

რედაქტორი
**თენგიზ გაჩეჩილაძე**

საქართველოს სპორტის დეპარტამენტი და კალათბურთის რესპუბლიკური ფედერაცია იუწყებიან, რომ გარდაიცვალა 50-იანი წლების ერთ-ერთი საუკეთესო კალათბურთელი, თბილისის „დინამოს" გუნდის წევრი

**ბივი აბაშიძე**

და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

„ლელოს" დღევანდელ ნომერზე მორიგეობდა ი. ჩახვაშვილი, კორექტორები ც. ჩიტიშვილი და მ. ძეძამიძე.

საქართველოს ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობის „სამშობლოს" სტამბა. თბილისი, ვ. კოსტავას ქ. 14. [illegible]